ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 24 მარტი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] 1 თვით 75 მანეთი, [illegible]
[illegible] 5 მანეთი. [illegible]
4 [illegible]
[illegible] 100 მანეთი [illegible]
[illegible]
ტელეფონი 16—83

№ 67

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა

№ 67

ღრმად დამწუხრებული მამა დიმიტრი, ძმა ალექსანდრე, და თამარა ვადაჭკორიები, დედა როზა სიმონის ასული ტერ-ვანოვისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 25 მარტს დილის 3 საათზე გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილისა მე-5 კლასის მოწაფისა

ნინა დიმიტრის ასული ვადაჭკორიას

მოსახსენებლად [illegible] სასაფლაოს ეკლესიაზე ([illegible]). (2—1)

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: ალექსი [illegible] ძე გვენცაძე და მეუღლე ნატალია მაქსიმეს ასული პელიძე—გვენცაძისა და ძმები და დები: გიორგი, დიმიტრი, ეფროსინე და ელენე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 20 ამა მარტს მცირე ხნის მწოლიარე ავადმყოფობის შემდეგ რკინის გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა ე. ს. პილაბაშვილის გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფე

კირილე გვენცაძე

გამოსვენება 23 მარტს დილის სამ საათზე; დასაფლავება წმინდა ნინოს ეკლესიის ეზოში. (1053 1—1)

საჭიროა ექიმები და ფერშლები

სახალხო გვარდიის პროვინციის შტაბებისთვის (სოხუმი, ახალციხე და ახალსენაკი) პირობები გაიგეთ შეიძლება: სასახლე, სამკურნალო-სასანიტარო განყოფილება სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა. სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა. (ნ. 3—1)

გორის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების დირექციები

ამით აცხადებენ, რომ, თანახმად მთავრობის საგანგებო კომიტეტის დადგენილებისა, გორის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები დროებით გადატანილია ქალაქ თბილისში. ქალთა გიმნაზია მოთავსებულია თბილისის ქალთა მეორე გიმნაზიაში, ხოლო ვაჟთა გიმნაზია თბილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიაში. მეცადინეობა იწარმოებს ნაშუადღევის ორი საათიდან. თითოეულ ღარიბ მოწაფეს თვიურად მიეცემა დახმარება ათას ხუთასი (1500) მანეთი. მშობლებმა დაუყონებლივ უნდა მოათავსონ თავიანთი შვილები შესაფერ ბინებში. სწავლა დაიწყება პარასკევს, 26 მარტს. (კვ. 1037—1—1)

ფეხსაცმელების კერვის სწავლება

საპორინი ქუჩა სახ. № 26, ოთახი 14.

შეკერვა ევროპიული ფეხსაცმლისა რანტით, შპილკით გადასაბრუნებელი და ხანდლებით, მასთან გამოჭრა და შეკერვა ყოველნაირი მოწყობილობის „ზაგოტოვკისა".

მეცადინეობა დილით 9—12 საათამდე. საღამოთი 4—7 საათამდე. სწავლის ფასი 800 მანეთი. (1954—1—1)

მოიკითხეთ საუკეთესო ხარისხის

აბრეშუმის ჭიის თესლი

(ყვითელი, ფრანგული ჯიშის).

„დ. დ. დიკანოზიშვილის" ფირმისა.

დუშეთის ქუჩა № 22 ბინა მექანარიშვილისა.

(1026—3—3)

გენერალ კერესელიძის რაზმის ყოფილ მოსამსახურეთა საყურადღებოდ საქართველოს რესპუბლიკის

სამხედრო სამინისტრო აცხადებს

რომ მის კომპეტენციაში არ შედის ჯამაგირით და სხვა გვარი ფულით დაკმაყოფილება აღნიშნულ პირთა რაზმში სამსახურისათვის ამის გამო, ზედმეტ მიმოწერის და დროის უმიზნოდ დაკარგვის თავიდან ასაცილებლად ამ გვარი თხოვნებით [illegible] პირები ნულარ მიმართავენ სამხედრო სამინისტროს. (ნ. 3—2)

ექიმი [illegible]

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 32, სოლოლაკი. (ნ.—ა.)

შირაქის სამხედრო ერობას ესაჭიროება

სამი ცხენიანი ფურგონი

ჯამაგირი 2100 მანეთი და პროდუქტი. მიმართეთ სანიტარულ ერობაში. (1019 2—2)

ს. მთაწმინდელი

პოეტ-არტისტი

შამილის ლოცვა

დაიბეჭდა და იყიდება ყველგან. წ. კ. მაღაზიაში და „განათლებაში". (1055—1—1)

ჩვენ და რუსეთი

„წითელი არმია" დღეს—არა—ხვალ კარზე მოგვადგება; დენიკინური რუსეთის ნაცვლად ჩვენი მეზობელი გახდება ლენინის რუსეთი. დენიკინის მეზობლობამ ბევრი მწარე წამები დასტოვა საქართველოს დემოკრატიის მახსოვრობაში. სანამ მას ძალა შესწევდა, მისი ხმა მუდამ იმპერიალისტურათ გრგვინავდა და მუდამ მტრული, შეურიგებელი კილო მოისმოდა ჩრდილოეთიდან საქართველოს რესპუბლიკის მიმართ. დენიკინის მეზობლობა ძვირად დაუჯდა ჩვენს სახელმწიფოს. მისი ძალების და ქონების ნახევარზე მეტი ხმარდებოდა დენიკინის შემოსევისაგან უზრუნველყოფის საქმეს, თავდაცვის ორგანიზაციას. ამით აიხსნება ის კმაყოფილება, რომლითაც ჩვენი დემოკრატია ადევნებდა თვალყურს დენიკინის ჯარების მარცხს და მის ნელ-ნელა განადგურებას. დღეს დენიკინის ჯარი, შეიძლება ითქვას, აღარ არსებობს. მის ადგილს იჭერს ლენინ-ტროცკის „წითელი არმია". ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, რა განზრახვებით მოგვადგება იგი კარს. ჩვენ, რასაკვირველია, მოხარულნი ვიქნებით კეთილ-მეზობლური ურთიერთობა ჩამოვაგდოთ საბჭოთა რესპუბლიკასთან ისევე, როგორც მოხარულნი ვიყავით კეთილ-მეზობლური განწყობილება გვქონოდა რუსეთის იმ ნაწილებთან, რომლებიც ყუბანის და თერგის რესპუბლიკები იწოდებოდა. ყოველს თავდასხმით განზრახვებს დაშორებული ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა დღიდან თავის დაარსებისა მუდამ იმის ცდაში იყო, რომ მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა ყველა სახელმწიფოებთან, მეტადრე მეზობლებთან.

ჩვენი დემოკრატია სულიერათ დანათესავებულია რუსეთის დემოკრატიასთან, რადგან მის წიაღში იზრდება, და წარმოუდგენელია, რომ იგი ტრადიციულ სიმპატიით არ ეპყრობოდეს მას.

მაგრამ, სამწუხაროდ, რუს ხალხის დღევანდელი მეთაურნი არ იძლევიან არავითარ იმის საბუთს, რომ მათ მოეპყრათ ჩვენსკენ თავისი „წითელი არმია" სამეგობროთ და არა მტრულის განზრახვით. არც ის თავდასხმითი პროკლამაციები, რომლებსაც უგზავნის ჩვენს მთავრობას საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარი ჩიჩერინი „ნოტების" სახით, არც ის გადაჭარბებული, რესპუბლიკის ძირის გამომთხრელი, მტრობა და სიყალბეზე დაფუძნებული, ყოველს პრინციპიალობას მოკლებული, ბრძოლა, რომელსაც აწარმოებენ ადგილობრივი ბოლშევიკები, არ გვაძლევენ იმედს, რომ საბჭოთა რუსეთი მოინდომებს ხელი აიღოს თავდასხმით განზრახვებზე და უარი ჰყოს ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის შინაურ საქმეებში ძალდატანებით ჩარევაზე ისევე, როგორც ჩვენ არ ვერევით მის შინაურ საქმეებში.

მაშასადამე, „წითელი არმიის" მოახლოვებასთან ჩვენ იმის მოლოდინში უნდა ვიყოთ, რომ ჩვენს ჩრდილოეთ საზღვარზე არსებითად არაფერი შეიცვლება: იდგა დენიკინის შავი ჯარი, რომელსაც ჩვენდამი მტრობა ედო გულში;—ამიერიდან იქვე იდგება „წითელი არმია", რომელსაც ისევ ისეთი ჩვენდამი მტრობა უდევს გულში. ჩვენთვის, ჩვენს დემოკრატიისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ერთს ჯარს წინ მიუძღოდა დენიკინი, მეორეს ტროცკი, რომ ერთი ჯარი იყო „შავი", მეორე „წითელი". რას ვაქნევთ ჩვენ ჯარის ფერის სახელს, ან ჯარის ფერს, თუ კი ერთიც და მეორეც ერთნაირ განადგურებას უქადის ჩვენს ერს! რას უშველის ჩვენს დემოკრატიას „წითელი" ჯარის ფერი, თუ კი ამ ჯარს ისევე ფეხქვეშ გასრესა უდევს გულში ყველა იმისა, რაც რევოლუციამ შეგვძინა, როგორც დენიკინის „შავს" ჯარს? რა განსხვავებაა ჩვენთვის, დენიკინის ყაზახები დაანგრევენ ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, თუ ლენინის ხალდათები? ჩვენთვის არაფერი იცვლება იმით, რომ კავკავში და შავი ზღვის სანაპიროზე დენიკინის ჯარს შესცვლის ლენინის ჯარი. თუ გასჭრა, ლენინის „წითელი" ჯარი დენიკინის „შავ" ლაშქარზე უკეთესს არ დაგვაყრის.

ჩვენ შევსძელით დენიკინის შავ ლაშქარს გავმკლავებოდით წელიწად-ნახევრის განმავლობაში, მიუხედავათ იმისა, რომ დენიკინი თვითონ ფეხამდის შეიარაღებული იყო, მიუხედავათ იმისა, რომ მას უხვათ ეძლეოდა თოფ-იარაღი, სურსათი, ამუნიცია, ტანკები ინგლისის სამხედრო საწყობებიდან, მიუხედავათ იმისა, რომ „ძლიერ" სახელმწიფოთა წარმომადგენელი გენერლები ჩვენ ხან გვეჩრებოდენ, რომ დენიკინს დავმორჩილებოდით, ხან გვემუქრებოდენ,—ჩვენმა შეიარაღებულმა დემოკრატიამ გაუძლო [illegible] წინ დენიკინის ჯარებს და ფეხი არ გადმოადგმევინა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე. ეს მოახერხა ჩვენმა დემოკრატიამ იმ დროს, როდესაც მას ნამდვილი ჯარი არც კი მოეპოვებოდა, როდესაც იგი სახელმწიფოებრივათ ახალ ფეხ-ადგმული იყო. შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენმა დემოკრატიამ მარტოოდენ დემოკრატიული ორგანიზაციებით და შეგნების სიმაღლით მოიგერია [illegible] დენიკინის ლაშქარი.

დღეს ჩვენი მდგომარეობა გაცილებით, შეუდარებლად უკეთესია. ჩვენ გვყავს უკვე გაწვრთნილი და მრავალ ომებში ნაცადი შეიარაღებული მუშა ხალხი—ჩვენი გვარდია, რომლის რიცხვი ბევრჯერ აღემატება იმ რიცხვს, რომელიც დენიკინის ჯარს ებრძოდა. ჩვენ გვყავს მშვენივრათ დაწყობილი, რკინის დისციპლინას შეჩვეული რეგულიარული ჯარი, რომელიც დღეს შთაბეჭდილებას ახდენს თვით ევროპიულ სამხედრო სპეციალისტებზე. შინაური ჩვენი მდგომარეობა გაცილებით უკეთესია დღეს, ვიდრე დენიკინის შემოსევის დროს. საგარეო მდგომარეობა ჩვენი მტკიცეა ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობით.

ჩვენ არ გვსურს ომი დენიკინის რუსეთის ადგილას მოსულ ლენინის რუსეთთან. მაგრამ თუ იგი განაგრძობს ჩვენს მიმართ თავის დამპყრობლურ პოლიტიკას, თუ იგი მიიწევს ჩვენი რესპუბლიკის ხელის შეხებას, ჩვენც განვაგრძობთ ჩვენი რესპუბლიკის დაცვას ისევე, როგორც ვაწარმოებდით დენიკინის მეზობლობის დროს. და ეჭვი არაა გვაქვს, რომ ლენინის „წითელ" არმიის განზრახვას იგივე ბედი ეწევა, როგორიც ეწია დენიკინის შავ ლაშქრის მოსვლას.

ლტოლვილნი

ყაზბეგს მრავალი ლტოლვილი მოადგა. მოდიან გადასარჩენათ, სიცოცხლის შესანარჩუნათ. მოდიან განურჩევლათ წლოვანებისა, სქესისა და მდგომარეობისა.

მოდიან იმ ქვეყანაში, რომლის არსებობა ყელში ადგა გუშინდელ მბრძანებლებს და რომლის განადგურებასაც ასე [illegible] ცდილობდნენ.

დროთა ცვალებადობის. დღეს უძლურათ [illegible] ტახტი მბრძანობისა და დღეს დამარცხებული, ქედ-მოხრილი, ის საქართველოს საზღვარზე სდგას და თავშესაფარს ითხოვს.

როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი მთავრობა?

უმაღლესი ჰუმანიური მოსაზრება აძლევს მას ძალას გაუღოს კარი და დროებით მაინც შეიფარებინოს პირველ ყოვლისა ისინი, ვინც მხოლოდ უბრალო მსხვერპლია „ქვეყნის უკუღმართობისა". ესენი პირველ ყოვლისა ქალები და ბავშვები, რომლებიც მრავლათ არიან ამ წამად ყაზბეგში, და რომლებიც საშინელ მდგომარეობას განიცდიან. როგორც გადმოგვცემენ მთავრობამ კიდეც მისცა მათთვის ნება ჯგუფებით შემოვიდნენ რესპუბლიკის საზღვრებში. მათთან ერთად ნება მიეცა შემოვიდნენ კულტურული ჯგუფები—პროფესორები, არტისტები, ხელოვნები და სხ.

საქართველო კულტურული რესპუბლიკაა და ეს ავალებს მის მთავრობას მფარველობა გაუწიოს კულტურას და მის მატარებლებს.

რაც შეეხება შეიარაღებულ ძალებს, თუ კი ასეთები გამოჩნდებიან ჩვენ საზღვრებთან, მთავრობა უნდა მოიქცეს ისე, როგორც მოითხოვს ამას საერთაშორისო უფლებები.

ჩვენი ქვეყანა ნეიტრალური სახელმწიფოა და ეს ავალებს მას არც ერთი შეიარაღებული ძალა არ შემოუშვას რესპუბლიკის საზღვრებში. შეიძლება მთავრობას ასეთ ძალებთანაც დაუჭირდეს საქმე. ერთხელ უკვე გვქონდა ჩვენ ასეთი შემთხვევა. ეს იყო მაშინ, როცა წითელ არმიელების ნაწილი მოადგა იმავე ყაზბეგს და თავშესაფარი ითხოვა. ჩვენ მივიღეთ მაშინ ისინი უიარაღოთ და ბინაც მივეცით. ახლა მოსალოდნელია ისეთი ძალა, რომელიც მუდამ გვებრძოდა, ვებრძოდით და მოსისხლე მტერი იყო და არის დემოკრატიის და მისი ინტერესებისა. მაგრამ, როცა ის დამარცხებული და გასრესილია, როცა ის იარაღ-აყრილია, როცა ის სიცოცხლის შერჩენას ითხოვს—მთავრობა იძულებული იქნება დროებით მას თავშესაფარი მისცეს. ამას ავალებს მას საერთაშორისო უფლება, ამას ავალებს მას ჩვენი ნეიტრალობა.

ჰუმანიზმი და საერთაშორისო უფლება—აი ის პრინციპები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ჩვენმა მთავრობამ; აი როგორ უნდა გაიგოს ჩვენმა დემოკრატიამ მთავრობის ნაბიჯები ამ შემთხვევაში.

განი.

ჩრდილო კავკასიაში

გუშინ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ჩრდილო კავკასიიდან დაბრუნებულ ამხ. ბენია ჩხიკვიშვილს, იქაური მდგომარეობის შესახებ და შემდეგი ცნობები მიიღო:

თბილისიდან გამგზავრება.

აქედან 19 მარტს გავემგზავრეთ—მე, ვალიკო ჯუღელი და გ. ფაღავა. ყაზბეგიდან წაგვყვა მილიციონერი ხიმშიაშვილი. ჩვენ თან გვყავდა საკუთარი „ოხრანა". კავკავში კი დაგვხვდა ზაქარია გურული, რომელიც კავკავში დიდი ხანია მუშაობს [illegible] საქმეებზე. ჩვენ განსაზღვრული მისია არ გვქონია დაკისრებული. სხვათა შორის, ჩვენ დავალებული გვქონდა ჩრდილო კავკასიისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება ჩვენი მთავრობის დამოკიდებულების შესახებ და აგრეთვე გამოკვლევა, როგორც მოხალისეთა, ისე ბოლშევიკების ფრონტისა.

მცხეთიდან დაწყებული ჩვენ მრავალი მგზავრები გვხვდებოდნენ, ალბათ კავკავიდან მომავალნი. ყველანი ერთსა და იმავე ცნობას იძლეოდნენ: ბოლშევიკების ჯარები პროხლადნაიასა და ბესლანს შუა იბრძვიან და სადაცაა კავკავს დაიპყრობენო.

ყაზბეგში რომ მივედით, იქ უკვე ლაპარაკობდნენ, რომ კავკავში შესულა შეიარაღებული [illegible] იმის ნიშნით, თითქოს ქალაქი ადრე დაიჭირეს ბოლშევიკებმაო. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც გავემგზავრეთ კავკავისაკენ. რამდენიმე ვერსი რომ გავიარეთ კავკავს, უფრო მკრთალ სახეს იღებდა ბოლშევიკების ჯარების „ძლევა-მოსილება", აგრეთვე ისიც ირკვეოდა, რომ როგორც კავკავში, ისე იმ ზონაში, რომელიც ამ ჟამათ ბოლშევიკებს უჭირავთ, წარმოუდგენელი ძარცვა გლეჯაა.

ქ. კავკავში.

ქ. კავკავში საშინელი უწესოებაა: ყოველ ფეხის გადადგმაზე ძარცვა-გლეჯა ხდება. ყველაფერი ეს ხდება „წესიერების" დამცველთა თვალწინ, მაგრამ ისინი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ მძარცველებს. ქალაქის განაპირას, სადაც კადეტის კორპუსია, ჩვენს თვალწინ, კორპუსიდან ასი საჟენის მანძილზე, დაძარცვეს ქალაქიდან მომავალი მგზავრები: ერთი მოკლეს და ერთიც დასჭრეს. ყაჩაღები კი არხეინად გასწიეს თავიანთ გზას.

პოსტზე მდგომი ინგუშები და ოსები გულხელ დაკრეფილი უყურებდნენ ამ სურათს და განაცხადეს:—„რომ ვესროლოთ, ჩვენც გვესვრიან და დაგვხოცავენო". ჩვენ მივედით იმ ადგილას, სადაც ეს ბოროტმოქმედება მოხდა და დაჭრილი წავიყვანეთ საავადმყოფოში, მაგრამ არც ერთ საავადმყოფოში ის არ მიიღეს. მიუხედავათ იმისა, რომ ჭრილობა არ იყო მძიმე, ის მაინც მოუვლელობის გამო ერთის საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ქალაქის განაპირა ადგილებში არავითარი წესრიგი არ არის. ყველა სასურსათო მაღაზიები გამოკეტილია. ხალხი მოძრაობს, სადაც მიეჩქარებათ, სად და რისთვის, არავინ იცის.

ჩვენ გავჩერდით სასტუმრო „პარიზში", რომელიც წინათ კარგ სასტუმროთ ითვლებოდა, ახლა კი—გაპარტახებულია. არავითარი მოწყობილობა შიგ არ არის: არც ბალიში, არც საბანი და სხვა. რამ ჩვენთან იმავე დროში იქ გაჩნდა წარმომადგენელი ეგრეთ წოდებულ ოსების „პატარა ყრილობისა" და მიგვიპატიჟა სიტყვით. გვითხრა: [illegible] სწავლობენ, ბევრ. ერდელმა დამოუკიდებლობა მოგვცა, და დღეს მთავრობა უნდა შევადგინოთ და თქვენი დასწრება საჭიროაო.

ჩვენ მაშინვე ეჭვი მივიტანეთ ამ ცნობაზე და არ წავედით. გავგზავნეთ მხოლოდ ორი ამხანაგი, რომლებსაც დიდი ოვაციებით შეხვდნენ.

ჩვენი ეჭვი გამართლდა. ის ორგანო აღმოჩნდა გენერალ ერდელის მიერ შედგენილი [illegible], რომელსაც არავითარი გავლენა არ ჰქონია ხალხის ფართო მასაში.

ბოლშევიკების და მოხალისეთა ფრონტი.

პირველად ყოვლისა ჩვენ გვაინტერესებდა როგორც ბოლშევიკების, ისე მოხალისეთა ფრონტის გამოკვლევა, თუ სად იმყოფებოდნენ ბოლშევიკების ჯარები და როგორი იყო საერთოდ ამ ორ „მებრძოლ" ბანაკში მასების სულიერი განწყობილება.

პირველი წუთიდანვე გამოირკვა, რომ არც ბოლშევიკებს და არც მოხალისეებს თერგის ოლქში არავითარი ფრონტი არა აქვთ. ვერ ნახავთ ისეთ ადგილს, სადაც [illegible] წითელ არმიელი იდგეს და მათ წინააღმდეგ მოხალისენი. არსად ასეთი რამ არ ყოფილა და არც არის: არც პროხლადნაიაში, არც გროზნიაში, არც ბატალპაშინსკში, გეორგიევსკში და კისლოვოდსკში არავითარი ფრონტი, არავითარი ბრძოლა არ ყოფილა და არც ამ ჟამად არის და სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა ყველა ის ცნობები „ფრონტების" და გმირული ბრძოლის შესახებ, რომელიც მოგვიტანა დეპეშებმა.

როგორ იღებენ ბოლშევიკები ქალაქებს.

სინამდვილეში კი არავითარი ბრძოლა არ სწარმოებს. ხდება მხოლოდ ერთი რამ: 10—15 კაცი შეიკრიბება, გამოაცხადებს თავის თავს მთავრობად, როგორც ეს მოხდა გეორგიევსკში და კისლოვოდსკში რკინის გზის მუშებში. მოხალისენი ქალაქს დატოვებენ. (დეპეშებში კი სწერენ—ქალაქი ბრძოლით დავტოვეთო).

ასეთ „გმირულ ბრძოლის" საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ქ. ნოვოგეორგიევსკი. იქ თურმე ღამით [illegible] თოფი გაისროლეს. მოხალისეებს ეგონათ, მტერი მოგვადგაო და ქალაქი იმავე საათში დატოვეს. ხოლო, როცა გაიგეს, რომ ქალაქში არავინ არ შემოსულა, ხელახლად დაბრუნდნენ და მთელ ქვეყანას აცნობეს, რომ ნოვოგეორგიევსკი ბრძოლით უკან დავიბრუნეთო.

სად იმყოფებიან ბოლშევიკების ჯარები?

არც მოხალისეთა ხელმძღვანელებმა და არც სხვებმა არ იციან დარწმუნებით,—თუ სად იმყოფებიან წითელ-არმიელები. ზოგნი ამბობენ, რომ წითელ-არმიელები ეკატერინოდართან უნდა იყვნენო, ზოგნი კი ლაპარაკობენ, რომ წითელ არმიელები როსტოვს არ გამოსცილებიანო, ზოგიერთები ისიც კი ამბობენ, რომ თვით ქალაქ როსტოვშიაც არ ყოფილან წითელ არმიელები, როსტოვი ადგილობრივმა ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში, როგორც ეს მოხდა მაგ. ქ. გროზნოში.

რათ ხდება ეს ასე?

ამის მიზეზი საერთო პანიკაა. როგორც მოხალისეთა ხელმძღვანელნი, ისე მემარცხენე ელემენტები საშინელ პანიკას განიცდიან. მათ არავითარი იმედი, პერსპექტივა არა აქვთ. არც ბრძოლის უნარი შერჩენიათ. რა აკეთონ არ იციან; მოხალისეთა ჯარში, გარდა ყაბარდოს პოლკისა, რომელიც 20 მარტს ნალჩიკიდან კავკავში ჩამოვიდა, არც ერთი ყაზახი, ჯარისკაცი არ მოიპოვება, პოლკებში მხოლოდ ოფიცრობაა დარჩენილი. ეს ოფიცრობა აწარმოებს გარეთ „ფრონტზე" „ბრძოლას", ეს ოფიცრობა იცავს ქუჩებში წესრიგს კავკავში. ამ ქალაქში 6 ათასი ოფიცერი არის. მე დავინტერესდი და დავითვალე ერთ ქუჩაში ალექსანდროვის ქუჩაზე (მთავარი ქუჩაა) პოსტებზე მდგომი ოფიცრები და ქ. [illegible] მარტო ერთ მხარეზე (ამ ქუჩაში 7—8 სახლია) აღმოჩნდა 114 ოფიცერი. ოფიცრები მეტის მეტ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენენ: ტანისამოსი შეკოწიწებული აქვთ, გამხდარი სახე და უაზრო გამომეტყველება მათდამი მწუხარებას და ზიზღებს აგრძნობინებს ადამიანს. არავითარი იმედი, არავითარი პერსპექტივა მათ არა აქვთ.

მიუხედავად ოფიცრების ყარაულების ასეთი სიმრავლისა, ქალაქში, როგორც ზემოთ ვთქვით, წესრიგის ნატამალიც არ არის. დღისით, დროგამოშვებით, სროლა სწარმოებს ქალაქში. ღამით კი, განუწყვეტელი სროლაა. ისმის ყვირილი. ღამე ქალაქი პირდაპირ ჯოჯოხეთად არის გადაქცეული, ძარცვა-გლეჯას ხომ საზღვარი არა აქვს, მით უმეტეს, ღამით. მძარცველებს ყველა „წესიერების" დამცველნი იცნობენ, მაგრამ ისინი მაინც უშიშრად მოქმედობენ. 20 მარტს, საღამოს 9 ს. მძარცველები შევიდნენ სასტუმრო „ევროპაში" და რის წაღებაც შეიძლებოდა, წაიღეს. მათთვის არავის არ უშლიდა ხელი.

ქალაქი საზარელ შთაბეჭდილებას ახდენს. ბოლშევიკების თუ მოხალისეთა მიერ გადამწვარია 200 სახლი, 500 მდე სახლი დანგრეულია, ბოლშევიკებს აუფეთქებიათ ქალაქის თვითმართველობის შენობა ყოფილ მარიის [illegible] სახლი, რადგანაც იქ [illegible] და ზოგიერთი სხვა სამხედრო მასალები ქონიათ და არ უნდოდათ, რომ ყველაფერი ის დენიკინის ჩავარდნილიყო ხელში. თვალში ეცემა კაცს ტექნიკური სასწავლებლის შენობა, რომელიც აგრეთვე დანგრეულია და რომელიც კავკასიაში საუკეთესო სასწავლებლად ითვლებო-

დღეს

პროფესიონალური კავშირების ცენტრალურმა კომიტეტმა გერმანიაში საყოველთაო გაფიცვა მოხსნა. ახალმა კოალიციონურმა მთავრობამ მიიღო კავშირთა პირობები.

უმაღლესი საბჭო შეუდგა მარშალ ფოშის მოხსენების განხილვას ოსმალეთის ჯარის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა უარს აცხადებს რუმინეთთან ვარშავაში საზავო მოლაპარაკებაზე. თანახმაა მოლაპარაკება გაიმართოს ხარკოვში.

საზავო კონფერენცია ნაადგომევს შეიკრიბება იტალიაში.

თფილისში დააპატიმრეს კომუნისტების სამხედრო—რევოლიუციონური კომიტეტი.

მოხალისეთა ჯარის დარჩენილმა ნაწილებმა კავკავი დასტოვა და დარიალს მოადგა, სადაც მთავრობის ბრძანების თანახმად მათი განიარაღება ხდება.

ჩრდილო-კავკასიაში—საუბარი ბ. ჩხიკვიშვილთან.

ბათუმის საკითხი,—აკაკი ჩხენკელის სიტყვა დამფუძნებელ კრებაში.

და, სიღნურზე აუარებელი დამტვრეული ვაგონებია. არის ორიც ჯავშნიანი მატარებელი. აღსანიშნავია ის, რომ ამ მატარებლებს აწერია ეს ამა და ამ გენერლის არისო.

სახრჩობელა შუა ბაზარში.

თმები ყალყზე დაგიდგებათ, როცა ბაზარში შეხვალთ.

შუაგულ ბაზარში მოედანზე აღმართულია მთელი თავისი მოწყობილობით სახრჩობელა. კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, ყოველთვის ახრჩობენ დამნაშავეებს. დამნაშავეები კი არიან ბოლშევიკობაში შემჩნეული ხალხი და მძარცველები. ხუთშაბათობით იმიტომ ახრჩობენ, რომ პარასკევს ხალხი ბაზარში იყრის თავს და დაინახონ, თუ რა მელის „ურჩებს". მკვდრებს ჩამოხსნიან მხოლოდ შაბათს. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა 3 კაცი ერთად ჩამოუკიდიათ. სახრჩობელას, როგორც შევნიშნე, უკვე შეეჩვია ხალხი.

ინგუშების ყრილობაზე.

20 მარტს, ჩვენ ინგუშეთის ნაციონალური საბჭოს ერთ-ერთ მოხუცი წევრის, საზოგადო მოღვაწის, მიპატიჟებით გავემგზავრეთ ინგუშეთში, სადაც ყრილობა უნდა მომხდარიყო. ყრილობამ ვერ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება.

სიეზდის მონაწილენი სანახევროდ ცხენებზე ისხდნენ და მინდორში იმყოფებოდნენ. ჩვენ ნება დაგვრთეს მისალმებისა და ზოგიერთი ცნობის მიწოდებისა ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ვრცლად ილაპარაკა ვ. ჯუღელმა, ვილაპარაკე მეც, ავუხსენით ჩვენი პროგრამა, მათ ჩვენ სიამოვნებით მოგვისმინეს და თბილ გრძნობებით გამოგვაცილეს.

ჩვენი წასვლის შემდეგ ასტყდა საშინელი საარტილერიო სროლა. როგორც გამოირკვა, სროლა სწ[illegible] კავკავში. ესროდნენ ინგუშებს, რომლებიც ჯაჭვ ჯაჭვით შეიარაღებულნი ცხენებით და ცარიელი ფურგუნებით შედიოდნენ ქალაქში. მოკლული აღმოჩნდა რამოდენიმე ათეული, აგრეთვე ამდენივე დაჭრილი. როცა ვბრუნდებოდით კავკავში, გზაზე საზარელი სურათი გვეშლებოდა თვალ წინ: გზაზე ეყარნენ მოკლული ბავშვები, ქალები და სხვა. ნაზრანიდან რომ მოვდიოდით ჩვენც ორი მხრიდან ტყვიებს გვესროდნენ, ერთი ჩვენი ავტომობილი ჩამორჩა და 3 კაცი ჩვენი დამცველი რაზმიდან უგზოუკვლოდ დაგვეკარგა. 20 მარტს საღამოს კავკავში ჩავედით.

ევაკუაციის საქმე.

ჩვენ კავკავში ჩასვლისთანავე ინტერვიუ გაგვიკეთეს სხვადასხვა გაზეთების წარმომადგენლებმა. ჩვენ სათანადო რწმუნება გვქონდა მათთვის კატეგორიულად გაგვეცხადებინა ჩვენი აზრი დენიკინელების მიღების შესახებ და ჩვენ გარკვეულად განვუცხადეთ: საქართველო თავის ტერიტორიაზე მიიღებს მხოლოდ ქალებს, ბავშვებს და კადეტთა კორპუსს (უნდა აღინიშნოს, რომ ეს კადეტის კორპუსი ამ ჟამად წარმოადგენს ბავშვების თავშესაფარს და არავითარი სამხედრო ხასიათი ამ სასწავლებელს არა აქვს). ისინი უკვე გადმოვიდნენ ჩვენს ტერიტორიაზე, რაც შეეხება სამხედრო პირთ, ჩვენ კატეგორიულად განვუცხადეთ, რომ არც ერთი სამხედრო პირი არ იქნება საქართველოს მიერ მიღებული. ჯარისკაცები მიღებულ იქნებიან მხოლოდ საერთაშორისო ჩვეულების ძალით, მოხდება მათი ინტერნირება და შემდეგ შეიძლება სადმე გაგზავნილ იქნენ. ამის შესახებ ჩვენ შესაფერი განცხადება გავაკეთეთ გაზეთებში.

ჩვენ კავკავიდან გამოვედით 21 მარტს. იქ მაშინ სრული ანარქია იწყებოდა. ჯერ კიდევ 20 მარტს ყველა სასურსათო მაღაზიები გაანადგურეს. ქუჩებში გამოიწვიეს ოფიცერთა ნაწილები, მაგრამ მათ უარი განაცხადეს წესრიგის აღდგენაზე და უკან გაბრუნდნენ. ყაჩაღებმა ჩვენს თვალ წინ მოკლეს ერთი ოფიცერი, წაიყვანეს მისი ცხენი და გაუდგნენ გზას. წესრიგის დამცველ ოფიცრებს [illegible] არაფერს ეკითხება... არავინ უსმენს და არც ისინი უსმენენ სხვებს... სრული დემორალიზაცია, სრული გახრწნა,—ამაზე შორს ჯარის გახრწნა არ წავა, ეს რაღაც წარმოუდგენელი რამ არის...

ქალაქში საშინელი სიძვირეა სურსათ-სანოვაგის წარმოუდგენელი კრიზისია. თეთრ პურს სულ ვერ ნახავთ. შავი პური მოიპოვება, მაგრამ მეტად ძვირია.

ევაკუაცია ხდება, მაგრამ სრულიად უსისტემოთ.

გზაზე ქურახის ხეობაში ჩვენ ინგუშებმა სროლა დაგვიწყეს, დაგვხვრიტეს ავტომობილი. ჩვენ ვუყვირეთ, რომ ქართველები ვართო, მაგრამ ამან არ გვიშველა, შემდეგ გავუგზავნეთ პარლამენტიორი, რომელსაც წაართვეს მაუზერი და ჯიბეები გაუშინჯეს, როგორც იყო, ჩვენ მოვედით ყაზბეგამდე.

რა იქნება ახლო მომავალში?

არც ოსები და არც ინგუშები არ თანაუგრძნობენ არც მოხალისეებს და არც ბოლშევიკებს. თითოეული მათგანი უძლურია თავისთავად და ეძებენ მოკავშირეს. ახლა უკვე დაწყებული იქნება ხოცვა ჟლეტა ინგუშებსა და ოსებს შორის. რამოდენიმე დღის შემდეგ ასეთივე ხოცვა ჟლეტა დაიწყება დანარჩენ ხალხთა შორის. ასე რომ იქ დამყარდება გაცილებით უარესი წესები, ვინემ მოხალისეთა ან ბოლშევიკების ბატონობის დროს იყო.

(გაზეთებიდან).

გენ. ერდელის ბრძანება.

5 მარტს (ძველი სტ.) ჩრდილო კავკასიის მთავარ მმართველმა გენ. ერდელმა შემდეგი შინაარსის ბრძანება გასცა: ისტორიულმა მსვლელობამ სასიცოცხლო ბედი არგუნა დონის, ყუბანისა და თერგის, აგრეთვე საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს; მხოლოდ მთიელთა ხალხები დღემდე განცალკევებულნი არიან და მათ არა ჰყავთ საყოველთაოდ ცნობილი სახალხო მთავრობა, რომელმაც უნდა დაიცვას ისინი გარეშე მტრის შემოსევისაგან. ამიტომ და აგრეთვე სამხრეთ რუსეთში შექმნილ მდგომარეობის გამო მე საჭიროთ და დროულად ვსცანი შევქმნა ყაბარდოს, ოსეთის, ინგუშეთის, ჩეჩნეთის, კუმიკის მიწების, ხალაფაგის და დაღესტნის ტერიტორიებზე გაერთიანებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია თავისი მთავრობით და სათანადო ორგანიზაციებით; სანამ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება განიხილავდეს საბოლოოთ ამ საკითხს, ასეთ სახელმწიფოდ ვსცნობ ფაქტიურად ჩრდილო კავკასიის მთიელთა კავშირს. სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდლის სახელით გენ. ერდელი მოუწოდებს მთიელთა ხალხებს ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას თავიანთ ისტორიულ ტრადიციების მიხედვით და დაიცვან მხარე კარზე მომდგარ ანარქიისაგან. ამასთანავე გენერალი ბრძანებს, რომ შეჩერებული იქნება „მოხალისეთა" მოქმედება მთიელთა წინააღმდეგ დაღესტანში; დაწესებულებებს უბრძანებს გადასცენ თავიანთი საქმეები ჩრდილო-კავკასიის მთიელთა კავშირის მთავრობას თანდათანობით, როგორც კი მოეწყობა სათანადო დაწესებულებები. („კავკაზ").

ოსეთისა და ინგუშეთის სახალხო მართველობანი.

ისინი აცნობენ მოქალაქეებს, რომ— 1) დღეის რიცხვიდან მთელი ძალა-უფლება მთიელთა ხალხების ტერიტორიაზე გადავიდა ჩრდილო კავკასიის მთიელთა კავშირის ხელში, 2) მთიელთა კავშირის დროებითი მთავრობის შემადგენლობა გამოქვეყნებული იქნება 7 მარტს, 3) ყველა მოქალაქეებმა ხელი უნდა შეუწყონ წესრიგისა და სრული მშვიდობიანობის დაცვას და 4) ყველა ფურცლები (ვალიევის ფურცელის მსგავსი) და ხმები, რაც ქალაქში ვრცელდება უპასუხისმგებლო ელემენტების მიერ ყალბია და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული.

კავკავის გაზეთი „კავკაზსკაია გაზეტა" 4 მარტი, (ძვ. სტ.) მოწინავე წერილში ეხება მდგომარეობას ჩრდილო-კავკასიაში და ამბობს: „ყუბანელების ფრონტიდან გაქცევამ საბოლოოთ გააბათილა იმედი სახალხო მმართველობის შესახებ. უმაღლეს „კრუგის" „უკაზმა"-ც ვერ აღადგინა ხალხში რწმენა დიად იდეებისადმი და სულ წითელარმიელები წინ მიიწევენ, ამარცხებენ გმირებს, რომლებმაც არ იცოდნენ, რა იყო დამარცხება. ამავე დროს უკრაინისა და ნოვოროსიის მცხოვრებლები მიყვებიან მახნოს, რომელსაც არავითარი უფლება არა აქვს ხალხის პატივისცემა დაიმსახუროს. შემდეგ გაზეთი კითხულობს,—რით აიხსნება, რომ აქ (ჩრდილო კავკასიაში) ხალხი არ მიჰყვება წინამძღოლებს, ხოლო იქ-კი,—და უპასუხებს: იმით, რომ მახნომ მონახა კარგი ლოზუნგი—„მიწა გლეხებს, რუსეთი—მეფე"; იმით, რომ ხალხს მოსწყინდა ყოველგვარი დიქტატურა და მოსწყინდა „დამფუძნებელი კრებაც" კი. მახნოს ლოზუნგის პირველი ნახევარი,—განაგრძობს გაზეთი, ხალხს უკომენტარიოთ ესმის; მეორე ნახევარი, მოაგონებს მას უმაღლეს სამართლიანობის იდეალებს. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს ინტელიგენციის დემორალიზაციას და წერილს ასე ათავებს: ამ დასკვნებზე მიგვიყვანა ჩვენ მწუხარებამ დაკარგულ მებრძოლთა სიცოცხლის შესახებ, მწუხარებამ განიავებულ კულტურისა და შეურაცხყოფილ იდეალებისა და სინიდისის შესახებ. მიწა უკვე გაძღა სისხლით და დადუღილ ცრემლთა ზღვამ გაახშო სული.

უკანასკნელი ცნობები

ჩრდილო კავკასიაში.

ყაზბეგი (დეპეშა). 22 მარტს საღამოთი მოხალისეთა ჯარების დარჩენილი ნაწილები მოადგნენ ჩვენს საზღვარს. დღეს დავიწყებთ მათ განიარაღებას. კავკავი და მთელი თერგის ოლქი უბრძოლველად დასტოვეს. აურებელი ლტოლვილები არიან. გამორბიან კავკავიდან, ჩვენ დაუბრკოლებლივ ვუშვებთ დედაკაცებს, ბავშვებს, ინვალიდებს და კულტურულ ძალებს. ქართველ ოფიცრებს და ცნობილ კონტრ-რევოლიუციონერებს ვატუსაღებთ. შევიპყრობთ თავიანთი ხალხის მოღალატეები—გენერლები ხალილოვი და მალსაგოვი.

ჯუღელი, გურული, ყიფიანი, ფანიევი.

ბაქოში

აზერბეიჯანის მთავრობის ოფიციოზი,—გაზ. „აზერბეიჯანი" ბაქოში მომხდარ უმაღლეს „კრუგის" დელეგაციაზე თავდასხმის შესახებ მოწინავე წერილში ახასიათებს ამ ტერორისტულ აქტს, როგორც ბოლშევიკურ მეთოდს მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და, სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„...მაგრამ რადგანაც განსაზღვრული ჯგუფები სიტყვიერ დემაგოგიის სახიფათო გზიდან გადადიან ტერორისტულ ბრძოლის კიდევ უფრო სახიფათო და საზიანო გზაზე,—მთავრობა იძულებულია თავდაცვის პოზიცია დაიჭიროს და წინ დაუყენოს ძალას ძალა და იარაღს იარაღი.

„ასეთია შედეგები ჩვენსკენ გადმოსროლილ თავხედ გამოწვევისა. ხელთათმანი აღებული უნდა იქნეს. განზრახულ სისხლიან საქმეს მთავრობამ ისეთი ზომებით უნდა უპასუხოს, რომლებიც ყველას დაარწმუნებს, რომ ყოველგვარი ცდა ბრძოლის ქუჩაში გადმოტანის შესახებ ძირშივე იქნება ჩაკლული.

საქართველოს მეგობარი

(ბათუმისთვის)

იყო და არა იყო რა... ეჰ, რად, რადა გინდათ მოყვასნო ზღაპრები? ზღაპრებში ტყუილი, გამოგონილი ამბებია. ზღაპრები იმიტომ შეგონდეს, რომ ყოველდღიური ცხოვრება ბუნდი იყო, უსახო, გაურკვეველი... დღეს კი.. გაიხედეთ, გაიხედეთ... პანტა პირქვე ცვივიან გვირგვინები... ჩინჩხლებივით იმსხვრევიან საუკუნეთა განმავლობაში ნაქებ-ნაგებული ქურუმები... ხუხულებივით იფშვნებიან უამრავ დინასტიათა ცოდვებით დამძიმებული ტახტები... სიკვდილის უსაზღვრო გვირაბში იმარხება ძველი დახავსებული ქვეყანა და მათს ნანგრევზე იბადება დიდებით ნაზარდი შრომის სამეფო.. ჯეჯო, ყრანტი [illegible]-იმპერიალისტური ომი ჰბადებს უმაღლეს ყრმასა რევოლიუციას...

ვიშ, ვიშ!.. ყრმა იგი მზეობს... ენა მესიკობს... იგი ჰფანტავს სისხლის ჯანღ ნისლებს და ნათელ ლიმით მოგვეწოდებს...

— ჩემსკენ, ჩემსკენ ტანჯულო, ჩემსკენ!..

აგერ, აგერ სასწაულთ-სასწაული ხდება. ნატანჯსა და წაკიდებულ სახელმწიფოთა ნანგრევებზე იბადებიან ჟამთა ვითარების ლოდებ ქვეშ დამარხული ერნი,..

მოდიან, მოჰქრიან ახალ ახალ ამხანაგთა ქარავნები და თან მოაქვთ ზოგთათვის სიმძიმილი, ზოგთათვის კიდევ ლხენა სიამე .. ზოგს უშემოდგომურდება ცხოვრების დღენი, ზოგს კიდევ ელამუნება გარიჟრაჟი საგაზაფხულო...

საქართველომაც გაიღვიძა სიკვდილის ძილისაგან და იწყო ახალი, პირმზე შოთას სიზმარივით ლამაზი ცხოვრება, მაგრამ ვინაა, ვინ ოხერია, რომ გაკადნიერებულა და კვლავ მეწამულად [illegible] გადაუქციოს ძლივს შეხარდისფერებული ცა? ვინაა, რომ საქართველოს აზურმუხტებულ ველს კვლავ წამებულთა ძვლების კალოდ უპირებს გადაქცევას, რომ ზედ დავლური გააჩაღონ ბნელეთის სულთა.

განა იმისთვის გავცილეთ ამდენი მსხვერპლი, რომ ახალ დროს ჟამის ეტრატზე აღიბეჭდოს! იყო საქართველო ქედ მაღალი, თავისუფალ ცხოვრებისათვის თავგანწირული და აღარ არის იგი... აღარ არის...

და ეს საშინელი წარწერა-ეპიტაფია უეჭველად ამეტყველდება, თუ მართლა გამოგვტაცეს ბათუმი, რომელიც ალამაზებდა და ამშვენებდა ჩვენს ქვეყანას.

ვიღამ იგალობოს [illegible] საქართველოზე?

როგორღა ამეტყველდნენ ხელოვანთა გრძნობანი, როცა სამლოცველოდ და საგალობლად აღარ ექნებათ ბათუმი—ეს ჩვენი პოლიტიკურ სიმწიფის დასაბამი და აკვანი გმირთა გმირების.

მაშინ მთელი ქართველი ერი გამოსულიყო გარეთ და მწუხარით ვალალებდა: ბათუმი წაგვართვეს მუხანათურად „ბათუმი დავკარგეთ—გულთვის [illegible] მიმოიფანტებოდა ჰაერში. მაგრამ არა მჯეროდ მე ის სიტყვები. აბა როგორ დაიჯერო ასეთი [illegible] რამ. ეს იმას ემგვანებოდა, რომ ის, ვინც შენ

აკაკი ჩხენკელის სიტყვა

წარმოთქმული დამფუძნებელი კრების 19 მარტის სხდომაზე ბათუმის შესახებ.

მოქალაქენო! ეს არის ჩვენ მოვისმინეთ დეპუტაცია ბათუმიდან მოსული სამუსლიმანო საქართველოს სახელით, მოვისმინეთ მისი სალამი, ერთგულება დედა-სამშობლოსადმი და ჩვენ აღტაცებით ვეგებებით ამ განცხადებას; მასზე წინ ჩვენ მოვისმინეთ განცხადება ჩვენი თავმჯდომარის პირით გადმოცემული ჩვენ წინ მოხსენებულ ხალხის, საქართველოს დემოკრატიის, ქართველი ერის; ეს მოხსენებული ხალხი მართალია აქ, ჩვენ წინ კი არ არის, იგი არის ყველა ჩვენ დაბა ქალაქებში, პროვინციებში. რას მოასწავებს ეს, მოქ. დეპუტ.? იმას, რომ ერთხელ კიდევ ითქვა, რომ საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველო არის ორი ძმა ერთი მეორისაგან განუყრელი და ვერც გაყრის მათ რაიმე ძალა. სწორედ, გამოვდივარ რა, ამ ორი განცხადებიდან, მე ვერ ვილაპარაკებ იმ შეწუხებული კილოთი, რომლითაც ილაპარაკა შეკითხვის ავტორმა.

მე ვიტყვი, ბატონებო, ბარჯგი დასმულია იქ, სადაც წყდება საქართველოს დამოუკიდებლობის, მთლიანობის საკითხი, იქ, სადაც სწყდება მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების საკითხი, ეს არის ახალციხე—ხულოს ხაზი, არტაან-არდანუჯის ხაზი. მე ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს მთლიანობა, საქართველოს დიდება იწყება არდანუჯში. ამას ჩვენი ძველი ისტორია მოგვითხრობს. მეორეს მხრით ჩვენ გვაქვს ერთი მნიშვნელოვანი დღე—29 თებერვალი. ეს არის ბათუმი, რომელიც დაღს დებს ჩვენ აწმყოზე და მომავალზე; რომელმაც საყოველთაო არჩევნებში თავისი ხმა დიდ საქართველოს მისცა.—ბათუმი, როგორც მე უკვე მოგახსენეთ თავის დროზე, არის დასაბამი ჩვენი გამოთავისუფლებული [illegible], ჩვენი დემოკრატიულ რესპუბლიკის ძლევა მოსილებისა, ჩვენი პოლიტიკური სიმწიფისა; ბათუმი არის სათავე, რომელმაც დემოკრატია გახადა სრული სუვერენული, არა მარტო თავის სამშობლოში, რომელმაც იგივე დემოკრატია გახადა აგრეთვე მესვეურად დიდ რუსეთის რევოლუციისა.

და ამ ორ ბოლოს თქმული სიტყვა უკვე საქმედ იქცა. მე არა შემიძლია აქ არ შევეხო იმ აუწერელ სიძნელეს, რომელიც შესაძლოა მოგვაგონებდეს ერთ სარდლის მიერ ალპების გადალახვას, და რომელიც სძლია ჩვენმა მამაცმა ჯარმა, როცა მან სუსხიან ზამთარში გადაიარა გაყინული მაღალი ქედები და დაიკავა არდანუჯი და ხულო. მე ამ გზას ვიცნობ, მივლია იქ ზაფხულში, ვიცნობ ამ ქედებსაც. ეს იყო ივლისში. მე ვიცი და მახსოვს დღევანდლამდე ის დაღლილობა, ის სიმწარე, რომელიც მე განვიცადე მაშინ, ე. ი. ზაფხულში. და ეს ქედები გადალახა ჩვენმა ჯარმა ზამთარში მთელი თავისი ბარგით, იარაღით, სურსათით. (ძლიერი ტაში ყველა სკამებზე). ამიტომ მე უნდა მოგახსენოთ, მოქალაქენო, რომ ჩვენ გვაქვს ნამდვილი ჯანსაღი სახელმწიფო, და ეს იქიდან სჩანს, პირველ ყოვლისა, რომ მას ჰყავს ასეთი შეგნებული, მამაცი და მაღალ მოვალეობის გრძნობით გამსჭვალული ჯარი.

აქ იყო ნათქვამი გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ იმ საშინელებაზე, რომელიც შესაძლებელია, მოგველის ჩვენ ჩრდილოეთით. მე არა ვფიქრობ მაინც და მაინც, რომ აუცილებელია სისხლის ღვრა მოხდეს ბოლშევიკებთან, მე არა ვარ მომხრე სისხლის ღვრისა, მით უფრო მე არა ვარ მომხრე ომისა საქართველოსა და რუსეთს შორის, მიუხედავად იმისა თუ რომელი პარტია არის იქ გაბატონებული. მაგრამ მე ვარ მომხრე ქვეყნის დაცვისა, მე ვარ მომხრე საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა და როცა ვითვალისწინებ იმ გმირობას, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა ჯარმა, მე ვამბობ, საქართველოს შეუძლია დამშვიდებული იყოს: მისი [illegible], მაგრამ სულით ძლიერი ჯარი თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს, ის მას დაიცავს. (ტაში).

მოგეხსენებათ, რომ საქართველო წარმოადგენს გეომეტრიულ სამკუთხედს, რომლის ცენტრალური კუთხე მიდის სამხრეთ დასავლეთით. თუ ჩვენ მაგრათ გვაქვს მიბჯენილი ჩვენი ზურგი ამ კუთხეზე, რაიცა წარმოადგენს ბუნებრივ სიმაგრეებს, მაღალ ქედებს, ჩვენი ხელები თავისუფალია სრულიად და შესძლებს გაუმკლავდეს ჩრდილოეთიდან მოსულ მტერს. და ამიტომ, რაც უნდა გაკეთებულიყო ბათუმის მიმართ, ის გაკეთებულია—ბათუმის ოლქი საქართველოს ხელშია, მე ეს მწამს და ეს მარტო რწმენა კი არ არის, ეს უკვე რეალობაა, ფაქტია.

მაგრამ, ერთი საშინელება მაინც მოხდა, ჩვენ უკვე ოფიციალურად გადმოგვცეს აქ, რომ ბათუმის საკითხი გადაჭრილია.

მე ვიცი ომის დამთავრების შემდეგ, როცა საზავო მოლაპარაკება იყო პარიზში და ვერსალში, იქ იყო შემოღებული ერთი ახალი მეთოდი, წესი, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ არ მოიწვიენ დამარცხებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და ისე დაადგინეს განაჩენი. თქვენ იცით, რომ არ მოიწვიეს წარმომადგენლები არც გერმანიის, არც ავსტრიის, უნგრეთის, ბულგარეთის და არც ოსმალეთისა და ისე გამოიტანეს გადაწყვეტილება მათ შესახებ. ეს მეთოდი შემოიღეს პარიზში და ვერსალში, მაგრამ იგი არ იცის ისტორიამ და საერთაშორისო უფლებამ ყოველ შემთხვევაში, ასე მოეპყრენ მოკავშირენი მტრებს. იბადება კითხვა, განა ჩვენ მტრები ვიყავით? განა ჩვენ ზურგს უკან, ჩვენდა დაუკითხავად უნდა გადაწყვიტოთ ეს ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხი?

ის საკითხი, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი არსებობა, ჩვენი ყოფნა არყოფნა? რასაკვირველია, ამის პასუხს მე ვერ მივიღებ, მისი ავტორები აქ არ არიან. მაგრამ ჩვენ ხომ მტრები არ ვიყავით! ჩვენ ვიყავით მოკავშირეები. ის სისხლი, რომელიც ჩვენი ძმების მიერ დაიღვარა ამ ომში, აღემატება, პროპორციულად თუ შევადარებთ, რუსეთში მცხოვრებთა სხვა ერთვნებათა მიერ დაქცეულ სისხლს. ვინ ვიყავით ჩვენ ან რა ვიყავით? განა მოკავშირეებმა არ იცოდნენ? განა მათი წარმომადგენლები არ იყვნენ ყველა ფრონტებზე, განა ისინი არ გამოსთქვამდნენ ჩვენს წინაშე პეტროგრადში თავის განცვიფრებას და აღტაცებას იმის შესახებ, თუ რა როლი ითამაშა ქართულმა მხედრობამ როგორც ოფიცრობამ, ისე ჯარისკაცობამ? განა მათ არ იცოდნენ, ვიმეორებ ეს? და მიუხედავათ ამისა ჩვენზე იგივე წესი, იგივე მეთოდი, რომელიც არ იცის ისტორიამ და საერთაშორისო უფლებამ, განახორციელეს ჩვენმა მოკავშირეებმა! მე ვამბობ ხაზ გასმით—ჩვენმა მოკავშირეებმა. ჩვენი ჯარი რომ სდგას არდანუჯში და ხულოში არის მოკავშირე. ჩვენ ჩვენი თავი მიგვაჩნია მოკავშირედ მე ვფიქრობ, ჩვენ არ გვხვდებოდა ეს, არ უნდა გაევრცელებინათ ჩვენზე ეს მეთოდი. მე ვფიქრობ, მოკავშირეებს არ უნდა დაეშვათ ერთ წუთისაც ჩვენს მიმართ ბრესტ ლიტოვსკის ხაზი. ეს კი სწორედ ბრესტ ლიტოვსკის განმეორებაა, როცა ჩვენ ამოგვთხარეს მარჯვენა თვალი ბათუმი—ჩვენმა ისტორიულმა მტერმა ოსმალეთმა და მხდალმა ბოლშევიკებმა. ბოლშევიზმი, როგორც სოციალისტური მოძრაობა კი არ იყო საშიში, ამას ჩვენ გაუწევდით ანგარიშს, მაგრამ ბოლშევიზმი, რომელიც იჩენს სიმხდალეს, მტრის წინაშე, იჩოქებს ვილჰელმის წინაშე, ღალატობს სამშობლოს, უარყოფს სახელმწიფოს—ამ ბოლშევიზმს ჩვენ ვერ შევურიგდებოდით. ეს იყო მაშინ. და დღეს კი ჩვენი მოკავშირეები, რომლებთანაც ერთად ჩვენ ვიბრძოდით და სისხლს ვღვრიდით, აი ეს მოკავშირეები ხელიდან გვაცლიან იმავე ბათუმს!

რა მოხდა? ოსმალეთს ბათუმს არ დაუბრუნებენ, რა თქმა უნდა. არის დემაგოგიური ქადაგება სხვა და სხვა ჯგუფებისა, რომლებიც მართლაც ავრცელებენ ხმებს; ბათუმი ოსმალეთს დაუბრუნდება, რომ ოსმალეთი არის ხვალინდელი პატრონი ბათუმისაო. ეს არის სიყალბე. ნამდვილად კი ოსმალეთი ომში დამარცხდა და ჩვენ არ გვგონია, რომ დამარცხებულ სახელმწიფოს იქით უმატებდენ ტერიტორიას. ჩვენ ვიცით, რომ პირიქით ასეთ შემთხვევაში მათ ჩამოჰრიან.

ჩვენ ვიცით სტრატეგიული მუხლი ვერსალის საზავო ხელშეკრულებისა, რომლის ძალით გერმანიამ, ავსტრიამ და ბულგარეთმა უკვე უარი სთქვეს ბრესტ ლიტოვსკის ზავზე და აქედან გამომდინარე უფლებებზე და უკვე მოაწერეს ხელი ამ ხელშეკრულებას. ეხლა ჯერი მიდგა ოსმალეთზე, მანაც უნდა მოაწეროს ხელი ამ მუხლს. მაშასადამე, აქ იხსნება საკითხი ოსმალეთისა, იგი არავითარ შუაშია. მაშ ვის მისცეს მოკავშირეებმა ბათუმი? განა ის უპატრონო იყო? განა ის განუყრელ ნაწილს არ შეადგენდა საქართველოსას? განა ოდესმე ყოფილა ეს სადავო, რაც ჩვენ რუსეთის ფარგლებში ვიმყოფებოდით? რადა უნდა ჩამოგვეჭრას ის, რაც ჩვენ სხეულზე მიზრდილი იყო ომის დაწყებამდე, რა დავაშავეთ, რადა უნდა დავისაჯოთ?

ჩვეულებრივი წესი ასეთი უნდა ყოფილიყო: აღდგენილ უნდა იქნეს პირველ-ყოფილი მდგომარეობა ე. ი. ჩვენ ვიყავით მოკავშირე, ერთად დავღვარეთ სისხლი, ერთად გავიმარჯვეთ, მაშასადამე ჩვენი ტერიტორია ხელუხლებელი უნდა დარჩეს. ეს იმდენად სამართლიანი და ლოღიკური დებულებაა, რომლის წინააღმდეგ გალაშქრება და რაიმე დადგენილების გამოტანა ჩვენთვის ყოველ შემთხვევაში პირდაპირ მიუწვდომელი და გაუგებარია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვართ შეგნებულნი ჩვენ ამას ვერ გავიგებთ ვერას გზით და არც გვინდა ასეთი რამ გავიგოთ.

ჩვენ ბათუმთან ერთად აღვდგებით ან მასთან ერთად დავეცემით. იქ სწყდება ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი თავისუფლება. ჩვენ ეს საქმე ასე გვესმის.

განა მოკავშირეებმა არ უნდა გაუწიონ ანგარიში მეორე გარემოებას, უდიდეს გარემოებას, რომ რუსეთის ყველა ხალხთა შორის—ეს იყო ერთად-ერთი საქართველოს ხალხი, ქართველი ერი, რომელმაც სხვების დაუხმარებლად და პირიქით მიუხედავად აუარებელ გარეშე დაბრკოლებათა, შექმნა ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ევროპული სახელმწიფო, დემოკრატიული სახელმწიფო? თქვენ იტყვით, რათ აინტერესებს ევროპას, თუ როგორი სახელმწიფო დაარსა საქართველომ, მათთვის სულერთია. მართლაც ეს არ იქნებოდა მათთვის საინტერესო, თუ ეს საკითხი ისე სდგას, როგორც ეს მოკავშირეებს ესმით დღეს. ნამდვილათ კი დღეს ევროპაში სდგას ერთი სადავო საკითხი: რომელმა პრინციპმა უნდა გაიმარჯვოს, იმან, რომელსაც წარმოადგენს ბოლშევიზმი, თუ იმან, რომელიც არსებობს ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებში და წამოვაყენეთ ჩვენ? რომელმა უნდა გაიმარჯვოს, დემოკრატიამ, თუ მონარქიამ? რევოლიუციამ, თუ კონტრ-რევოლიუციამ მთელი მისი შედეგებით? სახელმწიფომ, თუ ანარქიამ? განა ეს საკითხი ევროპას არ აინტერესებს? დარწმუნებით, რომ ჩვენზე უფრო მეტათ აინტერესებს, ევროპა თვით სდგას ხიფათის წინაშე. ჩვენ კი ეს ხიფათი თავიდან აცილებული გვაქვს, ჩვენ შევქმენით ისეთი წესწყობილება, იგი უკვე გაფოლადდა, და შიგნიდან მას არავითარი საფრთხე არ მოელის, ეს არის ჩვენი ბრძოლის შედეგი, დასკვნა. იქ კი, ევროპაში, სადაც წარმოიშვა ამ ომის გამო სხვადასხვა ძალები, კლასობრივმა მომენტმა მიიღო ერთობ მწვავე სახე, სადაც ერთის მხრივ გაბატონებული და მეორეს მხრივ დამონავებული კლასები უპირველესად დაპირისპირებული არიან, სოციალური საკითხი მთელის თავის სიმწვავით სდგას, აქედან თვით დემოკრატიული წყობილება დიდ ხიფათის წინ სდგას, იმ ხიფათის წინ, რომელმაც შთანთქა რუსეთის დიდი რევოლიუციის მონაპოვარნი, თვით სახელმწიფოც. რა თქმა უნდა, ეს საკითხი ახლა იქ არის მწვავე და მას ევროპა ანგარიშს უწევს.

მე ვიცი თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს, რომელიც სხვების დაუხმარებლად, წინააღმდეგ მრავალთაგან მრავალ დაბრკოლებათა დაარსა ის, რის განხორციელებასაც იქ ევროპაში ლამობენ. მე ვფიქრობ, რომ ამ ჯვარედინ გზას აზიასა და ევროპის შორის, ამიერ-კავკასიას, აქედან საქართველოს, რომელიც ხიდია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპისათვის, აქვს მისთვის დიდი მნიშვნელობა, დაინგრევა თუ დამკვიდრდება აქ ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო. ამ გარემოებას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ ევროპაში, ვინაიდან, ვიმეორებ, აქ არის ჯვარედინი გზა, სადაც უპირდაპირდება ერთმანეთს ევროპისა და აზიის სახელმწიფოებრიობა, ან კიდევ ევროპიული დემოკრატია და რუსული ანარქია, დაკავშირებული ოსმალეთის პანისლამიზმთან.

(დასასრული იქნება)

ბიბლიოთეკა

გიყვარს და ვისთანაც ხელჩაკიდებული მივიწევთ ნათელ ქვეყნისკენ—ეს ამგვარი [illegible] გამოგტაცონ გაქვავებულმა კუდიანებმა. წაგართვან ის მაშინ, როცა მიახლოვებული ხარ ნანატრ მხარის ამოსვლის კარებს და გაგაკვირვებულ გზით ამოსდის მას სული, ჰგვემონ, აწამონ და მისი ნაშთი ლაყუნა სვავებს გადაუგდონ საკიჩნელად.

რაღა ფასი ექნება ამისთანა დროს შენთვის მიზნის მიღწევას. რა თამამი იხილო ამ დროს გამარჯვებას.

არა, არ მინდა, წაიღეთ, მომაშორეთ ეგ თავისუფლება, თუ კი მას ვერ ღირსება მისი ტრფიალი—ჩვენი ბათუმი.

ასე ჰფიქრობდა გუშინ ზღვა ხალხი. მაინც და მაინც ბევრნი არა ვართ ბედმა არც ღირსეული მოკავშირე—ქომაგებით გაგვანებივრა, მაგრამ ჩვენა გვყავს ერთი უმაღლესი მეგობარი და უძლეველი ვართ მის მეოხებით. ურყევი რწმენა გამარჯვებისა—აი სახელი საქართველოს მეგობრისა.

ყველამ შეიძლება პირი გვებრუნოს, მაგრამ იგი არასოდეს გვიღალატებს. არასოდეს დაატოვებს იგი ქართველთა გულებს. ყველაფერის გადალახვა შეიძლება მის შეწევნობით. ისაა, მიზეზი, რომ საშუალო საუკუნეთა რაინდული, გმირთა ლიდებით შემკობილი ლეგენდები ცოცხლდებიან და ნათელ ცისარტყელად იქლებიან საქართველოს ზღაპრულად მომხიბლავად ჰმდიან მის თვით განსაცდელის ჟამს.

ვაი იმ ერს, რომელსაც არა ჰყავს ასეთი მეგობარი. რაც უნდა მრავალრიცხოვანი იყოს იგი—უეჭველად დაიღუპება—თუ ჩაქრა გულში რწმენის კოცონი..

ქართველთა გული აპირთავებულია ამ რწმენით და სწორედ ამის მეოხებით, რომ ამ დღეებში სულ მცირე გუნდმა ჩვენი ლაშქრობისამ საშინელს ყინვასა და პირობებში გადალახეს არტაან-ოლთისის მიმართულებით თითქმის გაუვალი უღელტეხილი.

ამ დიდი რწმენით აიხსნება, რომ გუშინ პატარა, ჩვილი ყრმანიც კი დაწყობილიყვნენ რაზმებად და სასახლისკენ მომავალნი მღეროდნენ ნუგეშის მომცემად:

ჩვენო კარგო ქვეყანავ,
რისთვის მოგიწყენია?
ბათუმს ვერ წაგვართმევენ,
იგი მარად ჩვენია...

რა თქმა უნდა ვერ წაგვართმევენ... ხომ არა ჰგონიათ ბოლო ბოლო იყოს ჩვენი სახელმწიფოს დაცვა. ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ჩვენ მარტო დიპლომატიის წყალობით შეგვიძლიან... ბრძოლა უფრო ძლიერი იარაღით და დიდ სიყვარულიანი დიდი სიძულვილი შეგვიძლიან. სიყვარული, სიძულვილი და გამარჯვება კი მეგობრები არიან... ახსოვდეს ეს ყველას და ნამეტნავად მას, ვინც თითო კბილს გვიჩვენებს შიგ გულის მქონე.

იყო და არა იყო რა..

დიახ, იყო, არის და კვლავაც ჩვენი იქნება ბათუმი, ვიდრე იარსებებს თუნდ ერთი უკანასკნელი ქართველი, რომელსაც მსგავსად ისრაელთა მარად პირს ეკერება: ენა აღმეგვეროს სასაზე, თუ რომ შენ დაგივიწყო ტკბილო ბათუმო!..

დ. თურდოსპირელი.

გერმანიაში

(ფრანგულ ცნობებიდან.)

გაზეთები იუწყებიან: გერმანიის მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდა ბერლინში მყოფ მუშათა სინდიკატებთან. შეთანხმების პირობებით შედგენილ იქნება ახალი კაბინეტი, რომელშიაც ერთი ადგილი მიცემული ექნება სინდიკატების რწმუნებულთ. მოსალოდნელია, რომ პარტიული შეუთავსებენ ლეგიონს, რომელიც შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს. რურის ოლქში იმარჯვებენ სპარტაკელები, ჯარების მიერ მიტოვებული და ესენის ევაკუაცია მუშათა ზედამხედველობით მოხდა. საქსონიაში მდგომარეობა გაუმჯობესდა. დრეზდენში მშვიდობიანობაა. ჰამბურგსა და ზოგიერთ სხვა ადგილას მუშათა ცენტრები კომუნისტების ხელში იმყოფება. ტიურინგიაში წესრიგი მყარდება. კილში სადემარკაციო ხაზი, რომელიც [illegible] ადმინისტრაციამ დააწესა ჯარსა და მუშებს შორის, დაირღვა [illegible], რამაც ახალი შეტაკებანი გამოიწვია. ჰამბურგში კვლავ იფეთქა საერთო გაფიცვამ ყველგან.—ამბობს „პტი პარიზიენი“ მდგომარეობა ან არეული და ან არა მტკიცეა ძნელია წინასწარმეტყველება, თუ რამდენხანს გასტანს მღელვარების ის პერიოდი, რომელშიაც გერმანია შევიდა.

თუმცა ბაუერის მთავრობა აცხადებს, რომ იგია მდგომარეობის ბატონ-პატრონი, მაგრამ დასავლეთისა და სამხრეთის პროვინციებსა და ბერლინის მიდამოებში არეულობა სუფევს. პარასკევ საღამოს ლიუტვიცის ჯარებს კიდევ არ ჰქონდათ დატოვებული ბერლინი. მუშათა სინდიკატები კი და განსაკუთრებით რკინის გზელები უარს ამბობენ მუშაობის დაწყებაზე მანამ, სანამ „ჯანყებული ჯარისკაცები სატახტო ქალაქს არ დასტოვებენ. ჰამბურგში... (დამახინჯებულია) დიუსელდორფში საბჭოთა ხელისუფლებაა. კაპის მიერ დაწყებული ანარქიის პერიოდს ჯერ კიდევ არ უჩანს ბოლო.

(ბოლშევიკების ცნობებიდან)

ბერლინი. გერმანიის პროფ. კავშირების ცენტრალური კომიტეტის პლენარულ სხდომაზე გადასწყდა, საერთო გაფიცვები შესწყვიტონ და მთელ გერმანიაში დაიწყონ მუშაობა, რადგან ახლად შემდგარმა კოალიციონურმა მთავრობამ მიიღო პროფ. კავშირების მთავარი პირობები. ეს პირობები შემდეგია: მუშათა წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ სოციალურ კანონმდებლობაში. ნაციონალურ ყრილობის უფლების დაურღვევლად. ყველა არა ლოიალური ჯარი დაიშლება და შეცვლილი იქნება მცხოვრებთა რესპუბლიკანურ წრეებისაგან და განსაკუთრებით შეკავშირებულ მუშათაგან ახლად შემდგარი ნაწილებით. იმ საწარმოების სოციალიზაცია, რომლის სოციალიზაციაც მხარის ეკონომიურ ცხოვრებას არ მიაყენებს ზარალს. იარაღის აყრა და დასჯა იმ პირთა, რომლებიც აჯანყებაში იღებდენ მონაწილეობას. რეაქციონური პირების სამინისტროსაგან განდევნა.

ბერლინი. მარ. 19. ყოველი მხრიდან მოსული ხმების გამო, თითქო ლიდს უნდა მომხდარიყო სპარტაკელების აჯანყება, მთავრობა იძულებული შექნა განსაკუთრებული [illegible] ზომები მიიღო. ვილჰელმსჰაფენზე არტილერია დაიყენეს. [illegible] ვაგზალთან ავტომობილიდან ტყვიისფრქვეველიდან სრულიად უმიზეზოდ ისროდნენ.

ლიონი 22. ებერტი ბერლინში ბრუნდება. მან შეადგინა დაავალა ახალი კაბინეტის შედგენა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს)

23 მარტი.

ფრანგული პრესის ცნობები.

ოსმალეთის ჯარის საკითხი.

ლონდონიდან იუწყებიან: პარასკევს, დილით უმაღლესმა საბჭომ დაიწყო განხილვა მარშალ ფოშის ახალი მოხსენებისა, რომელიც ოსმალეთის ჯარს ეხება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ განხილვა შაბათისათვის გადიდო.

ნეიტრალური რეინის ოლქში.

გერმანიის სამხედრო მდგომარეობის შესახებ ინგლისის დეპარტამენტის დეპუტატმა პოლ ბენსემ შეიტანა წინადადება რეინის ოლქში თავდასხმელ სიმაგრეთა აშენების შესახებ. ამ საკითხის შესახებ მოხსენების წარმომდგენი მიენდო გენერალ მოლდონს.

ბელგია და გერმანია.

ბრიუსელიდან გაზ. „პტი პარიზიენს“ ატყობინებენ: პარასკევს დილით მეფის სასახლეში მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა მეფის თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე, რომელმაც გასტანა ორ საათზე მეტს, განხილული იყო გერმანიის მოვლენებთან დაკავშირებული საგარეო პოლიტიკის საკითხები.

პერუ და ბოლივია.

ბუენოს-აირესიდან იუწყებიან: ლა პაზში პერუს საელჩოსთან მოხდარი მტრული მანიფესტაციის გამო პერუსა და ბოლივიის დამოკიდებულება მეტად გამწვავდა. უკანასკნელად მიღებულ ცნობების მიხედვით მოსალოდნელია, რომ ამ ორ მხარეთა შორის ომი დაიწყოს. ბოლივიაში გამოცხადებულია მობილიზაცია და ბოლივიის ჯარები ემზადებიან პერუს [illegible].

საბჭოთა რუსეთი და რუმინეთი.

მოსკოვიდან მოსული რადიო-დეპეშის ცნობით საბჭოთა მთავრობა უარს აცხადებს რუმინეთთან ვარშავაში მოლაპარაკებაზე და შესაფერ ადგილად სახელდებს ხარკოვს.

საზავო კონფერენცია.

საზავო კონფერენცია შეიკრიბება [illegible] იტალიის რივიერის სან რემოში

ბოლშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობები.

მოსკოვი, მარტის 22. მოზდოკის რაიონში ჩვენმა ჯარმა დაიპყრო [illegible] რამოდენიმე სოფელი [illegible]. მოზდოკ-ეკატერინოგრადის რკ. გზის რაიონში ბრძოლის შემდეგ რამოდენიმე სოფელი ავიღეთ. [illegible] კოროსტენის რაიონში [illegible] რკ. გზის ხაზზე ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ წარმოებს. კოროსტენის ჩრდილოეთ-დასავლეთით 60 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ქალ. [illegible] ბრძოლა პოდოლიის კამენეცის რაიონში ნიჟნიი [illegible] მიმართულებით მტერი წინააღმდეგობას გვიწევს, ბრძოლა გრძელდება. ნოვო როსიისკის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. კუბანის ქვემო მიმდინარეობაზე გადასვლის შემდეგ სამხრეთისაკენ შეტევას განაგრძობს. ეკატერინოდარის რაიონში ნოვოროსიისკის მიმართ. რკ. გზაზე წინსვლა გრძელდება.

საჩუქარი.

უკრაინის შრომის არმიამ დონის ოლქის მუშებს აჩუქა 75,000 ჩექმა, 6,000 მაზარა, 35,000 წყვილი ქალამანი და სხვა საჭირო ნივთები.

ახალი ამბები

თბილისში დააპატიმრეს კომუნისტების პარტიის სამხედრო რევოლუციონური კომიტეტი. დააპატიმრეს აგრეთვე კომიტეტის მეთაური აფიცერი რ. მკრტიჩიანი. აღმოჩენილია ფრიად საყურადღებო საბუთები.

◆ **დღეს,** საღამოს 6 ს. დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თბილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **დამფუძ. კრების დამატებითი არჩევნები.** მარტის 27, 28 და 29 მოხდება დამატებითი არჩევნები რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც რაიმე მიზეზების გამო წინა არჩევნები არ მოხდა ან გაუქმებულია. ასეთი ადგილებია აფხაზეთი (სოხუმის ოლქი), წყნეთის სათემო, [illegible], გომბორის ხევსურთა მოსახლეობა, ბოლნის ხ ჩინი, და 50 [illegible] უბანი ქ. თბილისში.

◆ **ებრაელთა პროტესტი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ დეპეშა მიიღო ონის ებრაელებისაგან, სადაც ისინი პროტესტს აცხადებენ ქუთაისის რაიონისა და თბილისის ებრაელთა საბჭოს მიერ მათი სახელით საკონსტიტუციო კომისიაში გამოსვლის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ, რომ საკონსტიტუციო კომისიამ არავის გამოსვლას არ მისცეს მნიშვნელობა, სანამ სრულიად საქართველოს ებრაელთა ყრილობა არ მოხდება.

◆ **ამერიკული უფასო ამბულატორია** 15 მარტიდან ჩუღურეთის ქ., № 77 გაიხსნა ახლო-აღმოსავლეთის დახმარების ამერიკულ კომიტეტის თბილისის განყოფილების უფასო ამბულატორია. ამბულატორია უფასო სამკურნალოდ იღებს ქ. თბილისის ღარიბ მცხოვრებლებს, განურჩევლად ეროვნებისა, უფასოთ მისცემს აგრეთვე საჭირო წამლებს. ავადმყოფების მიღება ხდება ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა, 12—4 საათამდე. იქვე ახლო მომავალში დაიწყება რძის მიცემა ღარიბ მცხოვრებთა ძუძუ მწოვარ ბავშვებისათვის.

◆ **დუშეთის ამბოხების** მონაწილეებმა შუამდგომლობა აღძრეს იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა ისინი საქმის გარჩევამდე განთავისუფლებულ იქნენ თავდებობის ქვეშ. შუამდგომლობა მინისტრმა გადასცა სასამართლო პალატის პროკურორს.

◆ **გორ ს დაზარალებულთათვის** დიმიტრი [illegible] შემოსწირა 100 ფუთი სიმინდის ფქვილი.

◆ სიღნაღის მაზრაში დამფუძნებელი კრების წევრის სოსო მაჭავარიანის თაოსნობით დღემდე შეგროვილია გორელებისათვის 2 ვაგონი ხორბლეულობა.

◆ **მთავრობის თავმჯდომარემ** წინადადება მისცა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა უკანასკნელმა, ყოფილი მე 17 [illegible] პოლკის ქონება ჩაიბაროს სახელმწიფო ქონებათ და მიღებულ იქნას ზომები მის დასაცველად.

◆ **კლუბის დახურვა.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განკარგულებით, სისტემატიურად კარტის თამაშისათვის დახურულ იქნა კლუბი „უნიონი“.

◆ **სწავლის შეწყვეტა.** განათლების სამინისტროს განკარგულებით, რესპუბლიკის ყველა სასწავლებლებში სწავლა სააღდგომო დღესასწაულის გამო 3 აპრილს შეწყდება და განახლდება 19 აპრილს.

◆ **ლექცია.** დღეს, 24 მარტს, საღ. 6 ს. [illegible] ბათილიონის და [illegible] თეატრის დარბაზში გვარდიელთათვის წაიკითხავს ლექციას დამფუძ. კრების წევრი ამხ. გ. გიორგაძე თანამედროვე მომენტზე. შესვლა უფასოა.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს, საღამოს ქართ. დრამ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „[illegible]“. [illegible]. დასაწყისი 7 ½ ს. საათზე.

◆ **გალაკტიონ ტაბიძის საღამო**— მეორე, საზოგადოების თხოვნით გაიმართება სახელმწიფო თეატრში ოთხშაბათს, 7 აპრილს, ხარებისა დღეს. ბილეთები დღეიდანვე იყიდება [illegible] სახელმწიფო თეატრის კასაში.

◆ **მუშათა კლუბი** (პლეხანოვის პროსპექტი № 123). დღეს წევრებისათვის უფასო საღამოა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს ოთხშაბათს 24 მარტს წაკითხულ იქნება ლექცია. მე 3 განყოფილებაში ([illegible]) 1) [illegible]—სტილისტიკა; 2) დ. ასათიანი—საფრანგეთის რევოლუცია. მე 6 განყოფილებაში (ერთობის კლუბში) ი. [illegible]—საქართველოს ისტორია. (ცენტრში 1) ეჭ. [illegible]—3 [illegible] 2) ვ. ბარნოვი—ქართული მწერლობა.

◆ **„ცისარტყელას“ წრის მწერალთა კრება.** კვირას, 28 მარტს, დღის 12 საათზე ქალაქის სასწავლებელთა განყოფილების ბინაზე (შტაბის ქუჩა, № 2, ალექსანდრის მოედნის ზემოთ) დანიშნულია „ცისარტყელას“ წრის მწერალთა კრება. განსახილველია მწერალთა კონფერენციის დღიური წესრიგი. დასწრება სავალდებულოა.

კრებები.

დღეს, ოთხშაბათს, 24 მარტს საღ. 7 ს. წმ. ნინოს სასწავლებელში დანიშნულია სრულიად საქ. მასწავლ. კავშირის საბჭოს სხდომა.

პროვინციის ქრონიკა

კარდანახის ყოფილი შერემეტიევის მამულების გამგე პ. ნ. ტერკინმა კარდანახის ერთ კლასიან სასწავლებელს შემოსწირა სხვადასხვა კოლექცია სასოფლო-სამეურნეო იარაღის, რაზედაც დიდ მადლობას სწირავს როგორც პედაგოგიური საბჭო აგრეთვე მშობელთა წრე.

ბ'თუმის გარშემო

მანიფესტაციები სიღნაღში.

19 მარტს, შუადღის 12 ს. ყველა დაწესებულებაში შეწყდა მუშაობა და ხალხი გამოემართა ყველა ქუჩებიდან და დაწესებულებებიდან სხვადასხვა დროშებით თავისუფლების ბაღისაკენ მალე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. მოვიდნენ მუშებიც დროშებით, რომელზედაც იყო წარწერები: „მოვითხოვთ ბათუმი დაუბრუნდეს საქართველოს თავისი ოლქით, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი“. იყო სხვა წარწერებიც.

მიტინგი გახსნა ს. ს. დ. მ. პ. სიღნაღის მაზრის კომიტეტის და პროფესიონალური კავშირების სახელით ი. კრაწაშვილმა. გაიცნო ბათუმ ს საკითხი და განაცხადა, რომ სიღნაღის მაზრის დემოკრატიის სახელით ვაცხადებთ ჩვენ გულისწყრომას იმ მტაცებლობის წინააღმდეგ, რითაც უნდათ საქართველოს მოსწყვიტონ მისი განუყოფელი ნაწილი ბათუმი. მოვითხოვთ ბათუმის მთელის ოლქით საქართველოსთვის დაბრუნებას. ილაპარაკეს გვარდიის სახელით ჯ. მეგრელიძემ და ქალების სახელით გოძიაშვილმა. კრებამ მიიღო ერთხმად შემდეგი რეზოლუცია:

(დამფუძ. კრების, მთავრობის, თავმჯდომარეს და უცხო სახელმწიფოთა მისიებს): „სიღნაღის მოქალაქეთა და მაზრის მცხოვრებთა მიერ გამართული მრავალრიცხოვანი მიტინგი მოითხოვს, რომ დაუბრუნდეს საქართველოს მისი განუყოფელი ბათუმი თავისი ოლქით. გამოსთქვამს თავის გულისწყრომას ყველა იმათ მიმართ, ვინც აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას. კრება მიმართავს მოკავშირეთა საბჭოს და ერთა ლიგას დაიცვან საქართველოს, როგორც პატარა ერის, სურვილები და უფლებები და დაუბრუნდეს ბათუმი თავისი ოლქით კუთვნილებისამებრ საქართველოს. ვთხოვთ დამფუძნებელ კრებას დაიცვას საქართველოს მთლიანობა და აღადგინოს თავისი უფლება მთელს ბათუმის ოლქში“.

მიტინგის შემდეგ ხალხი მწყობრად დაიშალა.

(რეზოლუცია მიღებული ავლაბრის რაიონის ფართო კრებაზე 19 მარტს).

„მოვისმინეთ რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ამხ. ივ. [illegible] ბათუმის და მისი ოლქის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ, ავლაბრის რაიონის დემოკრატიული ფართო კრება აცხადებს: ვინაიდან ბათუმი როგორც ნაწილი საქართველოსი, რომლის ჩამოგლეჯა საქართველოსათვის ნიშნავს, როგორც ეკონომიურს, აგრეთვე პოლიტიკურ მაჯის ცემის შეჩერებას და საქართველოს დემოკრატიის უკვდავს მომავლის დახშობას, ამისთვის მოვითხოვთ მოკავშირეთა პოლიტიკის შეცვლას და ბათუმის დაუცილებლად შემოერთებას დედა-საქართველოსთან. ამ მიზნისათვის ჩვენ, ავლაბრის დემოკრატია, მზად ვართ როგორც ერთი კაცი ჩვენი მთავრობის და დამფუძნებელი კრების დაძახილზე დაუყოვნებლივ ფეხზე დავდგეთ, თუ კიდევ [illegible] ჩვენი სისხლის გზებით. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიის სამართლიან მოთხოვნას, გაუმარჯოს ბათუმ საქართველოს სინათლეს!“

მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშები მიიღო:

სოხუმი. სოხუმის პროფესიონალური კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ განიხილა რა ბათუმის მდგომარეობის საკითხი, სცნობს, რომ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს განუყოფელი ნაწილია ეკონომიურად, კულტურულად, სტრატეგიულად და ისტორიულად და მომავალშიაც მას არ შეუძლია გამოყოფილი იყოს საქართველოდან. ამის გამო საბჭო გამოსთქვამს იმ იმედს, რომ საქართველოს მთავრობა ყოველივეს იღონებს, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტოს. მთელი მხარე [illegible] მთავრობას და მზად [illegible] გაწიოს. მხოლოდ მაშინ დამშვიდდება საქართველო, როცა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს შეუერთდება.

სოხუმი. აფხაზეთის სახალხო საბჭომ თავის არა ჩვეულებრივ სხდომაზე 19 მარტს გაარჩია რა ბათუმისა და მისი ოლქის მცხოვრებთა მდგომარეობა ერთხმად დაადგინა: საქართველოს დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და ანტანტის დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარის სახით შემდეგი წინადადებით მიმართოს: აფხაზეთის სახალხო საბჭო მტკიცე იმ აზრისა იყო, რომ ბრესტის ხელშეკრულება დამღუპველი იყო დემოკრატიისათვის, ვინაიდგან ამიერ-კავკასიის ერთი ნაწილი—ქ. ბათუმი მან გადასცა ოსმალეთ დესპოტიზმს. მაგრამ, საბედნიეროდ, მან ვერ შეძლო საქართველოსთან ისტორიულად შესისხლხორცებულ მხარეში განმტკიცება. ავტონომიური აფხაზეთის სახალხო საბჭო სცნობს რა ოლქის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მნიშვნელობას დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის და გამოსცადა რა თვითონ საქართველოს დემოკრატიასთან მეგობრული ცხოვრების სარგებლობა, მზათ არის ყოველნაირი მსხვერპლი გაიღოს ამ ოლქის რესპუბლიკისათვის დასაბრუნებლად. ამ მიზნის განსახორციელებლად მთელი რესპუბლიკა გვერდში ამოუდგება მთავრობას.

ხონი. ხონის ოლქის მცხოვრებ ქართველების მრავალრიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება ბათუმისა და მისი ოლქის შესახებ, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კრება თავის პროტესტს უცხადებს, ქართველი ხალხის პროტესტს და ფიქრობს, რომ სამართლიანი მოთხოვნილებანი სისრულეში [illegible] და ბათუმი საქართველოს შეუერთდება.

ქუთაისი

— 9 მარტს ქუთაისის ქალაქის საბჭომ დაადგინა: ეთხოვოს მთავრობას გრძელვადიანი ექვს პროცენტიანი სესხი 55 მილ. მან. და ამ [illegible] საქონელი საზღვარ გარეთ გასატანათ ქუთაისის წყალსადენის მილების და სხვა მასალების შესაძენათ.

— რადგანაც ტყიბულში მცხოვრებს ტიფი და სხვა მოსრული ავადმყოფობანი, გამგეობამ დაადგინა ხრესილის აფთიაქი გადატანილ იქნეს ტყიბულში სამაზრო ერობის—ხრესილის საექიმო პუნქტიან დაარსდეს საპუნქტო აფთიაქი.

— გუბში სათემო ერობის არჩევნებში სოც.-დემოკრატებმა გაიყვანეს 11 ხმოსანი, ნაც.-დემოკრატებმა—5, ფედერალისტებმა—4.

— ზედა სიმონეთში სოც.-დემოკ. გაიყვანა 10 ხმოსანი, ნაც. დემოკრატებმა—5.

— ქვედა სიმონეთში სოც.-დემოკრატებმა 11 ხმ., ნაც. დემ. 5 ხმ.

ბათუმი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო რწმუნებულის წინაშე მაჭახელის მცხოვრებლებმა შემდეგი შუამდგომლობა აღძრეს:

„ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი, მაჭახელის რაიონის მცხოვრებლები, მოგმართავთ თქვენ, ბატონ საგანგებო რწმუნებულო, რათა გვიშუამდგომლოთ საქართველოს მთავრობასთან, რომ მან შემოიყვანოს ჩვენს ოლქში ჯარები და ჩვენთან ერთად დაიცვას ჩვენი სიცოცხლე და ქონება, რომელიც საფრთხეშია. გახშირდა ჩვენში უპასუხისმგებლო პირთა აგიტაცია. ბოლშევიკები მოდიან ქ. ბათუმიდან და მცხოვრებლებში იწვევენ ჩვენ დამღუპველ აგიტაციას. [illegible] ჩვენზე თავდასხმას აგრეთვე ჩეთნიკები. ერთად ერთი იმედი გვაქვს საქართველოს მთავრობისა, რომ შემოიყვანს ჯარს და მით იხსნის ჩვენ მხარეს ანარქიისაგან.

თხოვნაზე ხელს აწერენ მაჭახელის რაიონის მცხოვრებნი.

— ის ჩეთნიკები, რომლებიც ამას წინათ თავს დაესხნენ ართვინ და ნავთით მომავალ მგზავრებს, ხალხმა შეიპყრო. ნაძარცვი ნივთების უმეტესი ნაწილი პატრონებს დაუბრუნეს.

— პურის მცხობელთა პროფესიონალმა კავშირმა თავის წევრთა შორის შეაგროვა და პროფ. კავშირთა საბჭოს გადასცა დაზარალებულ გორელების სასარგებლოთ 20 000 მანეთი.

— ბათუმ ს საკითხის ასე უსამართლოდ გადაჭრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე კარგ [illegible] და ყურ. მათი გაზეთი „ნეშ კრაი“ სწერს: „ჩვენ შეგვეძლო ძლიერ ხმამაღლა მოგვეხსენიებინა ინგლისის ხალხისათვის, რომელშიც დაცულია რა საერთო ინტერესები და რომელიც ძლიერ კარგად არის გაცნობილი კავკასიის მდგომარეობასთან, დაჟინებით მოითხოვოს ბათუმ ს ოლქის ოკუპაციის [illegible]“.

— 18 მარტს „[illegible]“ [illegible] სხვადასხვა ნივთები. მოპარული ნივთების [illegible] ჯერ [illegible] მოუნახავებულია.

უცხოეთი

რ უ ს ე თ ი.

საზავო წინადადება. საბჭოთა მთავრობამ საზავო წინადადება მისცა იაპონიას, ინდოეთს, ავღანისტანსა და პოლონეთს. ჩიჩერინის ნოტა ასეთ წინადადების შესახებ ჯერ ჯერობით უპასუხოდ დატოვებული. („ტერს. კავ.“).

დეკრეტი უცხოელების შესახებ. საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული დეკრეტი გამოსცა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ის მისიები და საკონსულოები, რომელთა გამომგზავნ მთავრობებთან საბჭოთა მთავრობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს,—არ სარგებლობენ რაიმე უფლებებით და უპირატესობით; საბჭოთა რუსეთის მოქალაქეებთან ერთად ისინიც შეიძლება [illegible] იქნენ დაპატიმრებული და ა. შ. ამ დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ როსტოვში მუშაობა შესწყვიტეს სპარსეთის, დანიის, სომხეთისა და იაპონიის საკონსულოებმა. იძულებული იქნა მუშაობა შეეწყვიტა აგრეთვე ლატვიის წარმომადგენელს —ლეპინს („ვოლ. როს.“).

ტყიბულის მუშათა კავშირი

([illegible])

ტყიბულის მუშათა კავშირს ერთი წლის ისტორია აქვს. ის სულ ახალი და ნორჩი ორგანიზაციაა. მას ისეთ რთულ პირობებში მოუხდა თავის მუშაობის დაწყება, რომ არავის არ ეგონა, თუ ფეხზე დადგებოდა. ისეთი პირობები იყო შექმნილი მისი მუშაობის დაწყების პირველ ხანაში, რომ ვერავინ იფიქრებდა, თუ ის ამდენი საქმის გაკეთებას შეძლებდა.

ამდენი უბედურება, რამდენიც [illegible] ამ ნაგლეჯ ჯგუფს, რომელიც [illegible] რომ განვიხილოთ მუშაობა მიმდინარეობაში და მათ ეს კიდეც შესძლეს, მაგრამ მაინც დიდი იყო, რომ ამ დაწყებულ საქმეს უპასუხისმგებლო პირები ჩასდგომოდნენ, მაგრამ აქაც ჩვენდა საბედნიეროთ, ეს არ გამართლდა და ორგანიზაციის სათავეში ჩაყენეს საუკეთესო ამხანაგები, რომლებიც დღემდე უძღვებოდნენ კავშირს. მათმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო და დღეს ჩვენ, ერთი წლის თავზე, გვეძლევა საშუალება მთელი მუშაობის ნაყოფი შევაფასოთ და საჭირო დასკვნა გამოვიყვანოთ. აქ ვრცლად კავშირის მოქმედების დაფასება ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგან ეს ძალიან დიდ ადგილს წაგვართმევდა და გარდა ამისა, ეს კიდეც იყო აღნიშნული ჩვენს ჟურნალ გაზეთებში, მხოლოდ მე მოკლედ შევეხები მთავარ მომენტებს კავშირის მოქმედებისას. პირველი და უმთავრესი კავშირის მოქმედების დამახასიათებელ თვისებათ ჩაითვლება ის, რომ კავშირი სრული შეთანხმებით მუშაობდა მაღაროების ადმინისტრაციასთან, რაც ხელს უწყობდა წარმოების განვითარებას. ერთხელაც არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ კავშირსა და ადმინისტრაციას შორის საქმე გამწვავებულიყო და ამას გაფიცვა ან სხვა რაიმე ზომის მიღება მოყოლოდა კავშირის გამგეობიდან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კავშირმა თავის დანიშნულებას გადაუხვია და ვითომ, დათმობის გზას დაადგა. არა, კავშირის გამგეობა ყოველთვის იცავდა კოლექტიური ხელშეკრულების ყველა მუხლს, ხოლო იყო ერთი მუხლი, ფულის მიღების საკითხი, რომელიც ხშირად ვერ სრულდებოდა, მაგრამ ეს არც ადმინისტრაციაზე იყო დამოკიდებული, რადგან ამ საქმის სრული უფლება მის ხელთ არ იყო. თვით ადმინისტრაციაც ანგარიშს უწევდა კავშირის გამგეობის აზრს მოქმედებას და ცდილობდა არ დაერღვია მათ შორის ეს შეთანხმებული მუშაობა. ამან მართლაც დიდი ნაყოფი გამოიღო და როგორც კავშირი, ისე წარმოება [illegible] და განვითარდა. [illegible] ასეთი დამოკიდებულება გამგეობამ ადმინისტრაციასთან, შეუდგა კავშირის ორგანიზაციის მოწყობას და მის გამაგრებას. ის ცდილობდა, რომ ორგანიზაციულ მუშაობას შეეჩვიათ მუშები.

[illegible] შესძლო მან, არ ყოფილა არც ერთი უბრალო შემთხვევა ამ ერთი წლის განმავლობაში, რომ მუშებს კავშირის გამგეობის შეუკითხავად გადაეჭრათ რაიმე საქმე. მოაწყო რა ეხლა კავშირმა, შეუდგა მუშებისთვის სხვა და სხვა საჭირო საგნების მიწოდებას [illegible] ფასებში. სამი თვეა, რაც ამ საქმეს შეუდგა კავშირი და ამ ბოლო ხანში მან მოაწოდა მუშებს 700 ცალი ფეხსაცმელი, რომელიც დაჯდა 361 მანეთი, მაშინ როდესაც ბაზარზე ასეთი ცალი ღირს 800—1000 მანეთად. ამდენივე

საცეხებში, რომელიც ღირს 120 მანეთი. ამის გარდა კავშირს აქვს ნებართვა 10 ვაგონი ნახშირის გატანისა ბათუმში, რომელიც კავშირმა უკვე გაყიდა, რომელშიაც უნდა მიიღოს 12,000 არშინი ნარმა (ბიაზი), რომელიც ეღირება მუშას ტრიკო 12—13 არშინამდე და არ ღირდება 15 მანეთზე მეტი არშინი. მოაწოდა ნავთი, რომელიც ღირს ფუთი 80 მანეთი, შაქარი 20 მან. გირ. 3 გირ. თითო მუშას, ბრინჯი 17 მან. გირ. და სხვ. გარდა ამისა კავშირი ყოველთვის კარგ განწყობილებაში იყო როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოს ყველა მუშა ორგანიზაციებთან. ის პასუხისმგებელი იყო თავის მოქმედებაში, როგორც ადგილობრივი მუშების წინაშე, ისე მუშათა უმაღლეს ორგანიზაციებთან. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ კავშირს ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატია. კავშირის გამგეობაში უმრავლესობა ამხანაგებისა იყო სოციალ-დემოკრატები. მომავალ არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული ტყიბულის კომიტეტი კავშირის გამგეობაში აყენებს თავის კანდიდატებს. ის მომავალ არჩევნებში თავისი სიით გამოდის. თუ უნდა ადგილობრივ მუშებს, რომ კავშირის მუშაობა მკვიდრ ნიადაგზე წავიდეს და არ განიცადოს ძველი ისტორიები, რომელმაც დიდად ზიანი მიაყენა როგორც მუშებს, ისე წარმოებას, ხმა უნდა მისცენ ამ სიას. კომიტეტი გამგეობაში აყენებს შემდეგ კანდიდატებს: 1) სიმონ მეზვრიშვილი, 2) კალისტრატე [illegible]შვილი, 3) ვლადიმერ შავლიძე, 4) სილიბისტრო გუჯაძე, 5) ვლადიმერ ცაგურიძე, 6) მელიტონ კასრაძე, 7) სილოვან [illegible]; კანდიდატებად: 1) [illegible] გაბრიაძე, 2) იასონ ფოფხაძე, 3) [illegible] ბოჭორიშვილი, 4) ივანე ლოლაძე. მოუწოდებთ ტყიბულის მუშებს, რომ 26 მარტს, პარასკევს, არჩევნებში გამგეობის წევრებად აირჩიონ ზემოხსენებული კანდიდატები.

„ბუგი".

თვითმართველობათა მუშა მოსამსახ. ყრილობა

17—18 მარტს, ყრილობამ თავის ორი სხდომა მიუძღვნა შრომის ხელშეკრულების პროექტის განხილვას. ამ ხელშეკრულების ისტორია მოკლედ ასეთ იყო: ის რამდენიმე თვის წინეთ შრომის სამინისტრომ წარუდგინა დამფუძნებელ კრებას, რომელმაც წინასწარ განსახილველად გადასცა შრომის კომისიას. პროექტს ასეთი შენიშვნა ქონდა სამინისტროს მიერ გაკეთებული: ეს ხელშეკრულება არ ვრცელდება სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეებზე. შრომის კომისიამ პირველად ასეთი შენიშვნით ხელშეკრულების პროექტი მიიღო. შემდეგ ის გადასცა წინასწარ განსახილველად დამფ. კრების იურიდიულ კომისიას, რომელმაც ზემოთ ნაჩვენებ შენიშვნას დაუმატა, რომ ეს ხელშეკრულება არ უნდა გავრცელდეს რესპუბლიკის თვითმართველობების მოსამსახურეებზე. ამის შემდეგ ეს საკითხი დაისვა დამფუძნებელი კრების ფრაქციაში, დამფუძნებელ კრების მიერ ამ საკითხის განხილვამდე, ის გარჩეულ იქნა სოც. დემოკრატიულ ფრაქციაში, სადაც ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა შენიშვნა, რომლის ძალით ხელშეკრულება არ უნდა ვრცელდებოდეს სახელმწიფო დაწესებულებების და ქალაქთა თვითმართველობების მოსამსახურეებზე. ამასთანავე ამ საკითხზე სხვადასხვა აზრი გამოითქვა მუშათა პრესაში, პროფესიონალურ კავშირებში და ამიტომ შრომის კომისიის თხოვნით ეს საკითხი დროებით მოხსნილ იქნა დამფ. კრების დღიურ წესრიგიდან და დაუბრუნდა ისევ შრომის კომისიას. ყრილობამ პირველი რიგში [illegible] და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალით ხელშეკრულება უნდა გავრცელდეს, როგორც სახელმწიფო დაწესებულებების, ისე ქალაქ-ერობათა თვითმართველობების მოსამსახურეებზე. ყრილობაზე ამ საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია. კამათში ნათლად დაისახა ორი მიმდინარეობა, ერთი მეორის დიამეტრალურად მოწინააღმდეგე. ერთი მოითხოვდა, რომ შრომის ხელშეკრულებას არ უნდა ჰქონდეს გავრცელება სახელმწიფო დაწესებულებების და ერობა—ქალაქების მოსამსახურეებზე—მოხელეებზე, ხოლო წარმოებებზე კი უნდა გავრცელდეს. მეორე მიმდინარეობა მოითხოვდა, რომ ეს ხელშეკრულება ყველა დარგის და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებზე უნდა გავრცელდეს. პირველი მიმდინარეობა იმით ასაბუთებდა თავის აზრს, რომ მუშები და მოხელეები არც წინეთ და არც ამ ჟამად არ იმყოფებიან ერთნაირ პირობებში, თუ ისინი მუშაობენ ცალკეულად და ამდენად ეკუთვნიან სხვა და სხვა კატეგორიებს, ამიტომ არ შეიძლება მათთვის ერთი კანონის გამოცემა. სახელმწიფო დაწესებულებების და თვითმართველობათა მოსამსახურეების დაცვა საჭიროა, მაგრამ ამისთვის ცალკე უნდა გამოიცეს კანონი და ეს ხელშეკრულება კი მათზე არ უნდა გავრცელდეს. მეორე მიმდინარეობის იურისტები ამტკიცებდნენ, რომ, მართალია მოხელეები შრომის სხვა და სხვა კატეგორიას ეკუთვნიან, მაგრამ დღეს ისინი მიდიან მუშებთან და [illegible] ისინი უნდა მიიღონ, რადგანაც ეს არ ეწინააღმდეგება არც წარმოების და არც სახელმწიფოს ინტერესებს. როგორც ჩანს წინა მიმდინარეობის [illegible] წარმოყენებულ იყო [illegible] კამათის დასრულების შემდეგ ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალით შრომის ხელშეკრულება უნდა გავრცელდეს როგორც სახელმწიფო დაწესებულებათა, ისე ქალაქ-ერობების მუშა მოსამსახურეებზე.

ცენტრობანკი

1920 წლის 21 მარტს ცენტრობანკის ბინაზე შესდგა ამ ბანკის აქციონერთა პირველი საზოგადო კრება ი. თავაძის თავმჯდომარეობით და გ. ზბეიძის მდივნობით; კრებაზე გამოცხადდა 200 აქციონერი, რომლებმაც წარმოადგინეს 23 მილიონი მანეთის აქციები; კრებას დაესწრნენ გარდა თვით ამ აქციონერებისა, ბევრი პროფესიონალური წარმომადგენელი და აქციონერი. კრებამ მოისმინა სადამფუძნებლო კომიტეტის ანგარიში ბანკის მოწყობისა, აქციების განაწილებისა და 1920 წლის ხარჯთ აღრიცხვის შესახებ, რაიც კრებამ ერთხმად მიიღო და მოიწონა; აგრეთვე კრებამ ბანკის საბჭოს და გამგეობას უფლება მისცა თავისი შეხედულებით საჭირო პუნქტებში და ქალაქებში დააარსონ ბანკის განყოფილებანი და სააგენტოები. ამის შემდეგ მოხდა არჩევნები ბანკის მართველ ორგანოების ფარული კენჭის ყრით. აირჩიეს: გამგეობაში, გამგეობის თავმჯდომარედ მ. გოთუა, წევრებად: კონსტანტინე ფხაკაძე, ნ. თავდგირიძე. საბჭოში: საბჭოს თავმჯდომარედ გ. ბერიძე, წევრებად: ნიკოლაძე ნ., ალათიანი ა., ბერიძე ქ., ჯუღელი ა., კალანდაძე დ., ყიასაშვილი ი., მიქაძე ივ., ცინცაძე ნ., მიქაძე შუ., მასხარაშვილი ალ., ტყეშელაძე ქ., წინამძღვრიშვილი გ., გვაზავა გ. და გორდეზიანი ი. სარევიზიო კომისიაში: ცინცაძე ქ., ბერიძე ლ., ხარაბაშვილი ნ., რუხაძე მ. და სამხარაძე ტ. ბანკი დაიწყებს ზოგიერთ ოპერაციას 25 ა. წ. მარტს.

დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოება.

„დედათა და ბავშვთა დაცვა" საზოგადოების მიერ 8 თებერვალს გამართულ საღამოს ანგარიში: 1) შრომის ლატარიიდან 63,150 მ., 2) ამერიკულ აუქციონიდან 113,500 მ., 3) სხვა და სხვა პირთა შემოწირულებანი 22450 მ.; [illegible] პროცენტები 27588 მ. 20 კ. მაგიდებიდან შემოსავალი 27.100 მ. ბუფეტიდან 30160 მ. 50 კაპ. სულ შემოსავალი 283948 მ. 70 კ. გასავალი: მსახიობებს, მოცეკვავეებს, ორკესტრს 9064 მ. 25 კაპ. პლაკატები, საბანკეტო ფურცლები, [illegible], განცხადებები და სხვა 4620 მ. წვრილი ხარჯი 4997 მ. სულ 18681 მ. 25 კაპ. წმინდა შემოსავალი 265,267 მ. 45 კ. საზოგადოების გამგეობა მოვალედ რაცხს თავის გულითადი მადლობა უძღვნას ყველა იმ პირთ, დაწესებულებებს, რომელთაც შესწირეს თავიანთი შრომა „შრომის ლატარიის", [illegible] ფულით, მიიღეს მონაწილეობა საღამოს გამართვაში, რითაც შეძლება მისცეს გამგეობას წესიერად შეუდგეს მუშაობას და განახორციელოს თავისი გეგმები.

საზოგადოების თავმჯდომარე ი. ი. ჟორდანია.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 18 მარტს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონულ კოლექტივის წევრთა სხდომა ამხ. მიხა [illegible] თავმჯდომარეობით. პირველად კრებამ მოისმინა ცნობებს ადგილებიდან. [illegible], რომ სადგურის და დეპოს ქვე-კოლექტივების არჩევნები [illegible] და იქმნება არჩევნების [illegible] შემდეგ მორიგ კრებაზე. ამავე კრებაზე [illegible] ქვე-კოლექტივების თავისი შეხედულება რაიონში პარტიულ-იდეურ-ორგანიზაციულ მუშაობის შესახებ. 19 მარტს ბათუმის საქართველოს მანიფესტაციის მოწყობის შესახებ მოხსენების აქეთ ამხ. [illegible] მოხსენებული [illegible], რომ 19 მარტს ყველა [illegible] მუშაობა უნდა შეწყდეს [illegible] 12 საათზე მანიფესტანტები თავთავიანთ რაიონებიდან [illegible] პლაკატებით შესაფერი ლოზუნგებით წარეწყვნით. მანიფესტაციას ხელმძღვანელობს პროფესიონალური ორგანიზაციები. ზოგიერთი ამხ. მოითხოვდნენ—[illegible] მანიფესტაცია გამოდის პროფესიონალური ორგანიზაციების მოწყობით პარტიულ დროშებს ასეთ მანიფესტაციებზე ადგილი არ უნდა ჰქონდესო. ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა მანიფესტაციაზე გამოვიდნენ პარტიულ დროშებითაც. ამასთანავე კოლექტივი მოუწოდებს, რომ პარტიის წევრებმა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა მანიფესტაციაში. პარტიიდან გარიცხულ ალექსანდრე სიმონის ძე სიხარულიძე საწევრო გადასახადის თავის დროზე არ შეტანისათვის კოლექტივის დადგენილებით ხელახლა იქნა მიღებული და აღდგენილი მისი სრული უფლებანი.

მდივანი.

— —

თფილისი. 16 მარტს შესდგა ახლად არჩეულ მე-6 რაიონის—ორთაჭალის მცირე კოლექტივის კრება, დაესწრო 9 წევრი, დღის წესრიგში იყო პრეზიდიუმის არჩევა. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ალექსანდრე ვაშაკიძე; თავმჯდომარის ამხანაგათ მეტრე მამულაშვილი. მდივნათ სტეფანე ტერტეროვი.

ამხ. ვაშაკიძე აკეთებს მოკლე მოხსენებას და მოუწოდებს ამხანაგებს პარტიულ მუშაობისაკენ. აგრეთვე მოისმინეს [illegible] სექციიდან ამხ. მამულაშვილი, რისაც კრება საქმეში ღებულობს.

X.

— —

ქუთაისი. 15 თებერვალს შესდგა ქალაქის კომიტეტის სხდომა. (ახლად არჩეულის) დღის წესრიგი: 1) კომიტეტის წევრების კანდიდატების სრულ უფლებიან წევრათ ჩარიცხვა. 2) პრეზიდიუმის არჩევა. 4) საქალაქო [illegible] ორგანიზაციის საკითხებისთვის 5 პროპაგანდისტის შესახებ. 1) კანდიდატები ჩარიცხულ იქნენ სრულ წევრათ. 2) პრეზიდიუმის წევრებათ არჩეულ იქნენ თავმჯდომარეთ ის. სიხარულიძე, ამხანაგათ და ხაზინადრათ ის. [illegible]შვილი, მდივნათ მ. [illegible]. 3) სამხარო კომიტეტის წევრებათ ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში სხვაგან წასვლის გამო ან [illegible] საჭიროებისათვის არჩეულ იქნენ ორი წევრი მ. [illegible] და გრ. [illegible]. 4) გამართოს 21 ამ თვისათვის საღამო და ამისათვის მოწვეულ იქნას სალიტერატურო კომისია [illegible] 3 ს. 5) ვინაიდან პასუხისმგებელ პროპაგანდისტს [illegible] პრეზიდიუმს [illegible] მაგიერი.

16 თებერვალს შესდგა კომიტეტის და ფინანსიური კომისიის სხდომა, სადაც არჩეულ იქნა ფინანსიური კომისიის და პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ ივ. რამიშვილი, ამხანაგათ ქ. ქვარიანი, მდივნათ პ.პ. წერეთელი და ხაზინადრათ ივ. [illegible]. თავმჯდომარის განცხადების გამო, რომ მისდა [illegible] მიზეზების გამო ამ საღამოს გამართვაში ვერ მიიღებს მონაწილეობას, მიღებულ იქნა და დაევალა ამხ. ალ. მიქელაძეს. შემდეგ კრება ანაწილებს სხვადასხვა ფუნქციებს.

მდივანი.

მუშათა შორის

ფოთი. აქ არის ხუთი ხე-ტყის სახერხი ქარხანა მდინარე კაპარჭინის პირზე. ქარხნები ძველები და ტექნიკურად მოუწყობელი და უვარგისი არიან. დიდი ხნის მუშაობის გამო იატაკის ბალკები ნახერხით მოიხვნა და შენობაც დიდად დაიცა, რის გამო შენობაში [illegible] მომწამვლელი სუნი სდგას. წვიმის წყალი შენობაში გვერდებიდან ჩადის და გასავალი არა აქვს. ყველაფერი ეს ცუდ პირობებს ქმნის მუშებისათვის, მაგრამ ამას არავინ ყურადღებას არ აქცევს. თვით მეწარმეებიც, მიუხედავათ დაპირებისა, არ იწუხებენ თავს ქარხნების შეკეთებაზე. თუ მუშა დაავადმყოფდება,—ამისთვის ისინი თავს არ იწუხებენ, რადგანაც მათ არაფერი ეხარჯებათ და მაგიერ მუშასაც იშოვნიან. საჭიროა, ადგილობრივ შრომის კომისარმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და მისთხოვოს მეპატრონეებს პირობების გაუმჯობესება.

ამ ხუთ ქარხნებს შორის შეიძლება მუშაობა ამ დროებით მხოლოდ გ. საბახტარაშვილის ქარხანაში, ვინაიდან იგი უფრო მოწყობილად შეიძლება ჩაითვალოს. დანარჩენები კი ცუდ მოუწყობელია. ქარხნებში მუშაობა მუდმივ არ სწარმოებს; ამიტომ მუშაც არის უზრუნველყოფილი. ამიტომ კავშირის გამგეობამ შეიტანა საბჭოში თხოვნა, რომ უმუშევრობის დროს მუშას ეძლეოდეს ნახევარი თავისი დღიური ქირისა, მაგრამ არ ვიცით საბჭო დააკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნილებას. თუ თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, იმ შემთხვევაში არეულობა. ყოველი შეძლებულია და მუშებიც წარმოებას ჩამოშორდებიან. საჭიროა დაუყოვნებლივ ზომების მიღება, რათა წარმოება არ გაჩერდეს.

ხიო ხაფთახი.

— —

ავლაბარში გაიხსნა ფილიალური განყოფილება საზოგადოების „კაპეიკის". გამგეობაში 11 წევრი აირჩიეს მუშათა და სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლებიდან. გამგეობას მიზნად აქვს გამოიკვლიოს ბავშვთა მდგომარეობა და უმწეო დარჩენილთ აღმოუჩინოს დახმარება. ნაწილი ბავშვების უკვე არიან გაგზავნილი საზოგადოების თავშესაფარში; გარდა ამისა, 5 ბავშვი იმყოფება უფასო სადილს ავლაბრის ქალაქის სასადილოში. რომ უფრო კარგად გაიცნოს რაიონი, გამგეობას მიზნად აქვს ავლაბარი გაჰყოს პატარა პატარა რაიონებად და სათავეში ჩააყენოს თითო წევრი. ამისთვის საჭიროა არის, რომ წევრთა რიცხვი გამრავლდეს. გარდა ამისა გამგეობა უკვე შეუდგა ამბულატორიულ და სასადილოს დაარსებას. მუშათა წრე დიდის აღტაცებით შეხვდა ამ სიმპატიურ დაწყებულებას და დაუთმო ბინა ბიუროს ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტში (კახეთის ქუჩა № 1), სადაც იღებენ წევრებს და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ფილიალურ განყოფილების თავმჯდომარე ოლიმპიადა ბაქრაძისთან.

პროვინცია

ხაზუმის თემი. (ზუგდ. მაზ.) აქ მიწა არც ისე ბევრია და რაც არის, ისიც პრიმიტიული მეურნეობით ვერავითარ ნაყოფს ვერ იძლევა. ამისთვის ადგილობრივი მცხოვრებთა უმრავლესობა, დიდი ხანია [illegible] მიწის სამუშაოდ, აქ შეძენილი [illegible] გროში, შინ მოქონდათ და ამით იმსუბუქებდნენ ცხოვრებას. ადგილობრივად ცდილობენ ნახევარი წლის საკმაო სიმინდი მოიყვანონ. უმნიშვნელო შემოსავალს იძლევიან „ოდესის" ღვინო და აბრეშუმის მოსავალი. ავერ ათი წლის მეტია, რაც „ოდესის" სახელი ამოიშალა ჩვენი მეურნეობის დარგიდან. 1910-დან 1914 წლამდე თვალსაჩინოთ იმატა ნამყენი ვენახების და აბრეშუმის გაშენებამ, მაგრამ მსოფლიო ომმა თავის სახიფათო დაღი ჩვენს მხარესაც სამწუხაროდ დაასვა. წლიდან კულტურული მეურნეობა ერთბაშად მოუღო ბოლო: ვისაც ნამყენი ვენახი ჰქონდა გაშენებული, გოგირდ შაბიამნის უქონლობით ერთიანად გადაუხმა. თხილის ბაზარი დაეკარგა და იმედ დაკარგული მეურნე მომავლისაც აღარ ჰფიქრობს მის მოვლებას.

აბრეშუმის სამეურნეოსაც დღეს აღარავინ იცქირება. საქონელი კი იმდენი არა ჰყავთ ჩვენს მეურნეს, რომ ნაკელი მოამზადოს და იმ პატარა ნაკვეთ მიწის გაპოხოს [illegible]. და მასთან არც კი იცის ჩვენმა მეურნემ ნაკელის მომზადება და მისი მნიშვნელობა.

გასულ წლის ხშირ წვიმიან ზაფხულმა მთლად შიმშილის კარამდე მიიყვანა ჩვენი გლეხობა. თითქმის 10 პროცენტს არ ყოფნით თავისი ნამუშევარი. საყიდელი არსად არ არის და რომ იყოს, ოცდახუთი თუმანი ფასობს ფუთი სიმინდი. შიმშილის აჩრდილისაგან შეშინებულმა მცხოვრებლებმა აქა იქ პური და ქერი დასთესეს შემოდგომაზე, მაგრამ აქაც მის ნამუშევარს შეესია მახრა, [illegible] და ათასი უბედურება, რომელმაც ერთიანად გაანადგურა. მე სამწუხაროდ მიმაჩნია, რომ საერობო [illegible] მცხოვრებლებს კარტოფილის მოყვანა შეასწავლოს და მით თავიანთ კარზე მომდგარი შიმშილი.

წარმოუდგენელმა [illegible] შიმშილი და გაჭირვება, რომელსაც თან მოყვა გადამდები სენი: მუცლის ტიფი, პარტახტიანი და „ისპანკა". მარტო-მარტო [illegible] თემში 200-ზე მეტი სული იმსხვერპლა და ავით ხაზუმის თემში ეხლაც მძვინვარებს.

დ. ხაზუმში დაარსებულია საექიმო პუნქტი, მაგრამ ექიმს ვერავის [illegible], არის ჯერ ჯერობით ფერშალი. აქვე ამა წლის პირველ იანვრიდან მთავრობის ნებართვით გაიხსნა შერეული ტიპის (ქალ-ვაჟთა) უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი, სადაც სწავლა რიგიანად სწარმოებს. მოწაფეთა რიცხვი 80 დე არის.

მამულების ჩამორთმევა ჯერ არ დამთავრებულა, რაც დღემდე ჩამორთმეულია, ისიც არ არის სასურველად მოვლებული.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ერთი გარემოებაც: დ. ხაზუმში არსებული ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების განკარგულებაში გამოგზავნილი ჟურნალ-გაზეთებს, დიდ ძალი ნომრები აკლდება, რაც იწვევს ხელის მომწერთა გულის წყრომას. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციონ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა.

ერიკო კაპარავა.

წერ. რედაქციის მიმართ

(ღია წერილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეს დათა წერეთლის ასულს)

რვა მარტს დილით ჩაგზავნით ჩემი ღია წერილი, რომლითაც მე თქვენ 3 დღის ვადაში ვითხოვდით სასამართლოში თქვენ მიერ წამოყენებულ ბრალდების დასამტკიცებლათ. ამ წერილზე პასუხათ თქვენ ხელმოწერით მაცნობეთ შემდეგი: „წინადადებას თქვენი მართალი, ვიღებ თქვენს წინადადებას, მაგრამ ვინაიდან მე არავითარი შეურაცხყოფა თქვენთვის არ მომიყენებია, ამისთვის ზედმეტათ მიმაჩნია თქვენი წინადადება". თუმცა ეს თქვენი პასუხი, ჩვეულებრივ ორპირული იყო, მაგრამ მე მაინც მეგონა თქვენ გამომყვებოდით სამართალში.

სამწუხაროთ მოლოდინი არ გამიმართლეთ და აღნიშნულ ვადაში არ ინებეთ ჩემი კანონიერი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ.

ამის მაგიერ მეხუთე დღეს ხელახალი თავგასხმა მოაწყვეთ ჩემზე და „სახალხო საქმის" ფურცელზე წერილობითი შეურაცხყოფა მომაყენეთ.

თქვენ და იმ წერილის ავტორებს, რომელ წერილზედაც თქვენ ხელს აწერთ, რომ სიმართლე გაინტერესებდეთ, მაშინ სანამ ვისმე ლაფს გადაასხამდით, უნდა კეთილ გენებებინათ, როგორც ამას პატიოსნება მოითხოვდა და გადაგეთვალიერებინათ ცენტრალური გამგეობის ის ანგარიშები, რომლებიც შეეხებოდა გამგეობის დარიგებულ სურსათს. მაგრამ ეს თქვენ არ ინებეთ და თქვენი ბრალდება დაამყარეთ მასზე, რაზედაც ვითომც „მთელი წელიწადი ფ. ტ. დაპირაკობდა."

იცით ქალბატონო [illegible]? ამბობენ რომ იმ წიგნთ-საცავ სამკითხველოში, სადაც თქვენ ბრძანდებით, თქვენი მონაწილეობით ხშირათ იმართება სხვადასხვა [illegible], მაგრამ გეკითხებით, განა ეს „[illegible]" ნებას მაძლევს მე, რომ თქვენ რაიმე დაგაბრალოთ?

არა ქ-ნო, მე და ჩემმა თანამოაზრეებმა რომელთაც [illegible] თქვენ და თქვენ ჯგუფს განებავთ ჩემი [illegible] (ამას მე გადაჭრით ვაცხადებ) ვიცით, რომ ისეთ საფუძველზე აშენებული ბრალდება როგორზედაც თქვენ აშენებთ, ჰაერში აშენებულ კოშკებს ემსგავსება, რომლებიც ერთი სულის შებერვის უმალვე იქცევიან და ამას ჩვენ არც ვიკადრებთ და არც ვიზამთ.

ვაცხადებ, რომ ყველა ის სურსათი, რაც კი მე ამხანაგებს დავურიგე, მაქვს ცენტრალური გამგეობის სახელით მისივე კონტროლის ქვეშ, რადგან მე იქ ვმოქმედებდი არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც ცენტრალური გამგეობის პასუხისმგებელი წევრი და ყოველგვარ ჩემს მოქმედებაში ანგარიში ჩავაბარე მასვე. და იცით პატიოსანო ქალბატონო რა აწერია ამ ანგარიშებს?

აი რა: „ამ ანგარიშებს ვამოწმებთ და ვამტკიცებთ გამგეობის თავმჯდომარე დავლიანიძე, წევრები: ი. დუმბაძე, კაშია, მახარაძე, გ. ჭოველიშვილი ვ. პეტლუხიძე, ი. ღლონტი. ამაზევე აწერია: „სარევიზიო კომისიამ განიხილა ეს ანგარიშები და ამტკიცებს მას იმ სახით, რა სახითაც იგი დამტკიცებულია ცენტრალური გამგეობის მიერ". ხელს აწერენ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე თ. ნასიძე, წევრები ვ. ყანჩაველი, [illegible]დარიანი, შოთაძე და პლატონიძე. ეს სარევიზიო კომისია არჩეული იყო თქვენი ყრილობის მიერ (თუ ვიმეორებ თქვენი) და მის შემადგენლობაში გარდა ამხ. შოთაძისა სოც. დემოკრატი არავინ ყოფილა და დარწმუნებული [illegible], რომ თქვენებმა ძლიერაც ეცადნენ [illegible] გაშავებას მაგრამ ეს ვერ შესძლეს. რა ვქნათ, შეუძლებლის შეძლება ძნელია.

ყოველივე ეს, როგორც თქვენ, აგრეთვე თქვენს ჯგუფს კარგათ მოგეხსენებათ, მაგრამ რადგან თქვენი მიზანი მხოლოდ ჩემი და ჩემი თანამოაზრეთა გალანძღვა ამისთვის არის კიდეც, რომ თქვენ გაექცევით სასამართლოს. მაგრამ არის ქალბატონო ისეთი სასამართლოც, სადაც თქვენი აზრის „ზედმეტათ მიმაჩნია"-ს ანგარიშს არ გაუწევენ და თქვენი სურვილის წინააღმდეგ გაგებინებენ პასუხს თქვენს მოქმედებაში. ეს გახლავთ რესპუბლიკის დემოკრატიული სასამართლო და რადგანაც თქვენთან სხვანაირათ ლაპარაკი არ შეიძლება ამიერიდან ვწყვეტ თქვენთან მიწერ-მოწერას (რადგანაც ეს მხოლოდ წყლის ნაყვა) და მივმართავ რესპუბლიკის კანონიერ დემოკრატიულ სასამართლოს, რომლის განაჩენიც გამოქვეყნდება თავის დროზე.

ა. მეხურიშვილი.

განცხადებანი

ექიმი [illegible]

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 27, [illegible]

ექიმი
ნიკოლოზ [illegible]
განაახლა შინაგან სნეულებებიან ავადმყოფთა მიღება ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1012—6—4)

ექიმი ქალი
მ. მ. ალფეევი
წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველდღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად სამეცო ქალების ავათმყოფობა. და ვენერიული ავათმყოფობა.

ექიმი
ნ. დ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, ბავშვთა და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღის 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს ტელ. 14—13. 119—თ.)

ექიმი
დამ. კოსტ. მე [illegible]
([illegible])
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52. (თ. 551)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. [illegible] და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, ჰაზების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. [illegible] ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმთა სამკურნალო
ექ. ე. მ. მძინარიშვილისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და [illegible] ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87. მიღება ყოველგვარ სნეულებიან ავათმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. ღარიბთათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.
იღებენ ექიმები
ი. ქ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. გ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავათმყ.
ა. გ. მადლაშვილი—შინაგ. ავათმყ. და მიკრო—ხიმ. ანალიზი.
ა. გ. მაჰაგარიანი—ხირურგ. ავათმყ.
ე. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ხ. ორემბოვსკი—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავათმყ.
მ. დ. შალამბერიძე—ქალის ავათმყ. და საზებიო.
სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანს ქვეშ შეშხაპუნება, ყვავილის აცრა, „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის, შარდის, განავალის და სხვ. (თ. 009)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიცა"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი
პ. ზ. მართანოვი
სპეციალურად კანის და ვენერიული სნეულება (სიფილისი "606" და 914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. [illegible] ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

[illegible] კლინიკების
ა. ზ. მეჯრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] და ბავშვების. იღებს რენტგენის ელექტრო-[illegible] კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. [illegible] დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 23, ტელეფ. 7—32. [illegible] უფასოთ. (თ. 656)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული ([illegible]) და [illegible] სნეულებანი. [illegible] მიღება [illegible] დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.